

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

**III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
„სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა - სოციალური
და სივრცითი მობილობა“**

მიძღვნილი პროფესორ ალექსანდრე რონდელის
ხსოვნისადმი

თეზისები



25 - 27 ივნისი

2015

22-24 ივნისი, 2017

III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია

**„სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა - სოციალური
და სივრცითი მობილობა“**

© თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

შინაარსი

ჯილდა ასათიანი ლიტერატურული სალონები და წრეები XIX საუკუნეში.....	7
ფიქრია ასანიშვილი შავი ზღვის რეგიონი და ევროპის სტაბილურობის რისკები აგვისტოს ომისა და უკრაინის კრიზის შემდეგ	9
ამირან ბერძენიშვილი, ნათელა დონაძე ქსელური სოციალურობა ინფორმაციულ საზოგადოებაში.....	11
თინათინ გვენეტაძე ქართული არარეგულარული შრომითი მიგრაციის სივრცითი ტრანსფორმაციის თავისებურებები.....	13
ეკა დარბაიძე ოფიციალური ვებ-საიტები საქართველოში არსებული ვითარების შესახებ	16
მარეს დევიძე, ავთანდილ ტუკვაძე პოლიტიკური კულტურის განვითარების ტენდენციები საქართველოში.....	19
მარეს დევიძე კონფლიქტები ორგანიზაციაში	22
ვალერიან დოლიძე, ავთანდილ ტუკვაძე პოლიტიკური სტაბილურობა და სოციალური მობილობა პოსტსაბჭოთა საქართველოში.....	24

სალომე დუნდუა ეთნიკური ნაციონალიზმიდან სამოქალაქო ნაციონალიზმამდე: საქართველოს პოლიტიკა 1990 წლიდან დღემდე.....	27
ნინო დურგლიშვილი, მარინა ბურძენიძე შრომის და საგანმანათლებლო ბაზრების ურთიერთგაუცხოება თანამედროვე საქართველოში	30
გიორგი კვინიკაძე, მარინე ქვეხიშვილი, ლუიზა აბაზაძე გეოეკონომიკური სტრატეგიები „ცივი ომის“ კონტექსტში.....	31
ნათია კუპრაშვილი საკითხის აქტუალობის მობილობა დროსა და სივრცეში – საქართველოში სირიის კრიზისის გაშუქების მაგალითზე.....	33
ნონა კუპრეიშვილი „ლიტერატურული ეკონომიკის“ კონცეპტები ილიას პროზაში	35
ალექსანდრე კუხიანიძე პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: დემოკრატიზაცია თუ კრიმინალიზაცია?	38
ანა ლეთოდინი, ადა ნემსაძე გლობალიზაციის პირველი ტალღა საბჭოური პერიოდის ქართულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში (XX საუკუნის 70-80-იანი წლები)	40

გიორგი ლეკვეიშვილი, ვალერიან მელიქიძე, კარინე მელიქიძე ადგილობრივი ენერგოსექტორის განვითარების რეგიონული პრობლემები საქართველოში.....	43
თონა მატარაძე მიგრაციის სოციალური ეფექტები საქართველოს სოფლებში.....	46
მალხაზ მაცაბერიძე კავკასია გეოპოლიტიკის კონტექსტში (ვიკტორ ნოზაძის კონცეფცია).....	49
გიორგი მელიქიძე საარჩევნო ანგარიშგაღებულება: საქართველოს პარტიული სისტემის ანალიზი.....	52
ეკატერინე მეტრეველი შეხედულება ქალის როლის და სტატუსის ევოლუციის შესახებ თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში.....	54
დალი ოსევაშვილი მულტიმედია ახალი ამბების გამოყენება თანამედროვე ქართულ ბეჭდვით და ონლაინმედიაში.....	56
ნანული ტალახაძე ემიგრანტული ჟურნალი „გუშაგი“ – „ქართული ეროვნული პოლიტიკისა და ლიტერატურის ორგანო“.....	57

გრიგოლ უროტაძე "საქართველოს მონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაზე – კონფლიქტის ესკალაცია (ბეჭდვითი მედიამასალის მიხედვით).....	60
მარინე ქვეციშვილი ორგანიზაციული კულტურის სპეციფიკა საქართველოში.....	62
მანანა შამილიშვილი ლიბერალურ ღირებულებათა რეფლექსია 1918 – 1921 წლების ქართულ პრესაში.....	64
ალექსანდრე წურწუშია ერთიანი ევროპული სივრცე (ინტეგრაციის სირთულეები).....	67

ჯილდა ასათიანი
დოქტორი, თსუ

ლიტერატურული სალონები და წრეები XIX საუკუნეში

XIX საუკუნის კულტურული საზოგადოება გატაცებული იყო ლიტერატურით, რაც ვლინდებოდა ლიტერატურული სალონების და წრეების დაარსებით.

რა სხვაობაა ლიტერატურულ წრეებსა და სალონებს შორის? წრე ეს არის ვიწრო, მეგობრული გაერთიანება, რომლის წევრები იკრიბებოდნენ ვინმეს სახლში და არ არის რეგისტრირებული შესაბამის ინსტანციებში. მათ ჰქონდათ თავისი წესდება და სხდომების პროტოკოლები. წრეებს ჰქონდათ რეგულარული, ორგანიზებული და მიზანდასახული ხასიათი. ლიტერატურის მიმდინარეობის ცვლასთან ერთად იცვლებოდა ლიტერატურული წრეების მიზნები, ინტერესები და მიმართულებები. წრეების არსებობა ხანმოკლე იყო –2–3 წელი.

ლიტერატურული სალონი უფრო ხანგრძლივად არსებობდა. სალონს არ ჰყავდა მკაცრად ფიქსირებული შემადგენლობა და არ იყო აუცილებელი მის ყოველკვირეულ შეკრებებზე დასწრება, იმ დროს, როდესაც წრის სხდომის გაცდენა არ შეიძლებოდა.

სალონების და წრეების ლიტერატურული ფუნქციები განსხვავდებიან. წრე უფრო დაკავშირებულია მწერალთან, ხოლო – სალონი მკითხველთან. თუ წრის მთავარი ამოცანაა ლიტერატურული ნაწარმოების შექმნა, სალონი ახორციელებს მის ლიტერატურულ მოხმარებას. ლიტერატურული წრეები და სალონები დიდ როლს თამაშობენ საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.

სიტყვა „სალონ“-ს აქვს კონკრეტული მნიშვნელობა. სპეციალური სივრცე სტუმრების მისაღებად. აქ სტუმრებს

ართობდნენ მუსუკით, სასიამოვნო საუბრით ლიტერატურის სიახლეებზე.

სალონების შექმნა ნიშნავდა საზოგადოების განსაზღვრული ნაწილისათვის ცხოვრების ახალი სტილის შექმნას.

სალონური კულტურა არის კულტურული ცხოვრების ფორმა, რომელსაც ახასიათებს თავისებურებანი. თავისი მიმართულებით გამოირჩევა სხვადასხვა ტიპი. ლიტერატურული, მუსიკალური, ფილოსოფიური. სალონური კულტურა ხელს უწყობდა საზოგადოების სულიერ აღორძინებას.

სალონი იყო ერთგვარი საგანმანათლებო სივრცე-გაზეთიც, ჟურნალიც, ლიტერატურული საზოგადოებაც-ერთდროულად.

ფიქრია ასანიშვილი
ასოცირებული პროფესორი, თსუ

შავი ზღვის რეგიონი და ევროპის სტაბილურობის რისკები
ავვისტოს ომისა და უკრაინის კრიზის შემდეგ

რუსეთ-საქარველოს 2008 წლის ავისტოს ომმა, ყირიმის ანექსიამ და უკრაინის სამხრეთსა და აღმოსავლეთ ნაწილებში მიმდინარე დესტაბილიზაციის მცდელობებმა და შეიარაღებულმა შეტაკებებმა, ევროპის სტაბილურობა მნიშვნელოვნად შეარყია და მყიფე გახადა.

მას შემდეგ რაც რუმინეთი და ბულგარეთი ევროკავშირის წევრი სახელწოფოები გახდნენ, შავი ზღვის არეალი ევროპისთვის იზოლირებულ სივრცეს კი აღარ წარმოადგენს, არამედ მის უშუალო სამეზობლოს, რომლის ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, დემოგრაფიული თუ ეკოლოგიური ფაქტორები მნიშვნელოვან ზემოქედებას ახდენს ევროკავშირის ქვეყნების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე.

სტატიაში განხილული იქნება ის გამოწვევები, რომელიც ევროპისთვის შავი ზღვის რეგიონიდან მომდინარეობს. გაანალიზებული იქნება ის გარემოებები, თუ რატომ არ გააჩნია დღემდე ევროკავშირს კონკრეტული სტრატეგია შავი ზღვის რეგიონის მიმართ და რამდენად სწორი და მართებული იყო ტაქტიკა, რომელიც ევროპას 2008 წლის ომამდე ჰქონდა. სტატიაში ძირითადი აქცენტი გამახვილებული იქნება მოსაზრებაზე, რომ საბჭოთ კავშირის დაშლამ და სოციალისტური ბანაკის რღვევამ ევროპის ქვეყნებს გზა გაუხსნა მანამდე მათთვის დახურული ზონის, შავი ზღვის რეგიონის მიმართ, თუმცა არასათანადო ჩართულობამ და მოქნილი სტრატეგიული ხედვის უქონლობამ მოგვიწინებთ ევროპის უსაფრთხოება რისკის ქვეშ დააყენა. რეგიონისადმი ინტერესი გამოწვეული იყო მეტწილად ეკონომიკური პროექტებითა და ენერგორესურსების ტრანსპორტირების

პერსპექტივით, მაშინ როცა ყურადღების მიღმა დარჩა, მისი პოლიტიკური და უსაფრთხოების ასპექტები. არადა ეკონომიკური პროექტები წარმატებული ვერ იქნება, უსაფრთხოების რისკების გათვალისწინების გარეშე. 2008 წლის აგვისტოს ომმა და უკრაინის მოვლენებმა ცხადყო, რომ ევროპისათვის „შავი ზღვის უსაფრთხოების“ განზომილება არც ისეთი განყენებული გამოწვევაა, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანდა. ამიტომ იმას, თუ რა პოლიტიკასა და მოდგომას შეიმუშავენ ევროპის კავშირი მომავალში რეგიონის მიმართ, მნიშვნელოვანი იქნება არამარტო რეგიონული ქვეყნებისათვის, არამედ თავად ევროპის უსაფრთხოების არქიტექტურისთვისაც

ამირან ბერძენიშვილი

პროფესორი, თსუ

ნათელა დონაძე

ასოცირებული პროფესორი, თსუ

ქსელური სოციალურობა ინფორმაციულ საზოგადოებაში

ინტერნეტი დღეს, XXI საუკუნის მეორე ათწლეულში, სოციალური ურთიერთობის დამყარების ერთ-ერთი მძლავრი საშუალებაა მთელ მსოფლიოში. ინფორმაციული საზოგადოების წარმოშობამ პიროვნება იმ მრავალი ყოველდღიური აქტივობისა და ცრურწმენისაგან გაათავისუფლა, რომლებიც ტრადიციული ურთიერთობებისათვის არის დამახასიათებელი. ინტერნეტი სივრცის „ნაკლს“ ამცირებს, რაც თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ურბანული გარემოს დამსახურებაა. ამ „ნაკლის“ გამოსწორების შედეგად მთელი სამყარო ნებისმიერი ადამიანისათვის ხელმისაწვდომი ხდება. ეს იმ ურთიერთობების დამყარებას აადვილებს, რომლებიც ადრე შეუძლებელი იყო. ახლა სოციალური კავშირები ძირითადად, საერთო ინტერესებითაა განპირობებული.

ინტერნეტი, როგორც სოციალური ურთიერთობის განვითარების ერთ-ერთ მთავარი საშუალება, სულ უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობას იკავებს. მოცემულ სოციალურ კონტექსტში ინტერნეტის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენება თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოების დიფუზიის, ფორმისა და კულტურული სპეციფიკის დადგენის მნიშვნელოვანი ინდიკატორია. ინტერნეტის მეშვეობით სოციალურ სტრუქტურას, სოციალურ მოქმედებასა და მნიშვნელობების მინიჭებას შორის დამყარებული ინტერაქცია იმ სოციალური

ტრანსფორმაციის პროცესს გამოხატავს, რომელიც ინფორმაციულ - კომუნიკაციური ტექნოლოგიების, კულტურისა და საზოგადოების ურთიერთქმედების შედეგია.

ინტერნეტის გავრცელება სოციალურ სტრუქტურაზე დამოკიდებული. ჩვენი ქვეყნის მთავარი პრობლემაა, რომ ინტერნეტი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ხელმისაწვდომი არ არის. არსებული სიტუაცია ციფრულ განხეთქილებას განაპირობებს და ქართული საზოგადოების განვითარებაზე არასახარბიელოდ აისახება.

თინათინ გვენეტაძე
დოქტორანტი, თსუ

ქართული არარეგულარული შრომითი მიგრაციის სივრცითი ტრანსფორმაციის თავისებურებები

სივრცის ცნება განმსაზღვრელი და ძირეულია გეოგრაფიულ მეცნიერებაში. იგი მიემართება სხვადასხვა მოვლენასა თუ პროცესს, რასაც ადგილი აქვს საკმაოდ დიდ არეალში და ანიჭებს მას სივრცით განზომილებას. აღნიშნულ ცნებას მრავალმხრივი დატვირთვა აქვს, დაწყებული ადგილის ფიზიკური მდებარეობიდან, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განზომილებებით დამთავრებული, მაგ: ახლო აღმოსავლეთი, ევროკავშირი, ბისეკის ქვეყნები, ტურისტულ-რეკრეაციული სივრცე, სამომხმარებლო სივრცე, საქმიერაციო/საიმიერაციო სივრცე, ვირტუალური სივრცე, 'ჩაინა ტაუნი' ან 'პატარა იტალია' და ა.შ. თუმც, თითოეული სახელი სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას გაგებული სხვადასხვა სფეროს მოღვაწეთა მიერ. ამიტომ, ყველა ეს ტერმინი ჩამოყალიბებულ, საკუთარ განმარტებას მოითხოვს.

ჩვენს კვლევაში ვეყრდნობით პოლონელი გეოგრაფის, სტანისლავ ლიშევსკის მოსაზრებას სამი ტიპის სივრცის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია პიროვნების ან ადამიანთა ჯგუფის გადაადგილებასთან გეოგრაფიულ სივრცეში სწავლის, შემეცნების, რეკრეაციის და მოგზაურობის მიზნით. აღნიშნულ კონცეფციას სივრცის დაყოფისა და 'ათვისების/დაკავების' ('occupation of space') შესახებ, ავტორი მოიაზრებს ტურიზმის სფეროში და მიუთითებს წარმოსახვითი (imaginative), "შეხლდული

ხელმისაწვდომობის' ('access-restricted') და რეალური (real) სივრცის შესახებ.

ემიგრაცია და ტურიზმი სხვადასხვა მიზეზებითაა მოტივირებული და ცხადია, ხანგრძლივობითაც განსხვავდება. თუმც, თუკი მივიჩნევთ, რომ ორივე სოციალური მოვლენა გეოგრაფიულ სივრცეში ადამიანთა გადაადგილებას (მუდმივი საცხოვრებელი სივრცის მონაცვლეობას) და გარკვეული ხნით ახალ რეალობასთან შეგუებას გულისხმობს, პროფესორ ლიშევსკის მიერ შემოთავაზებული სივრცის დაყოფის განზოგადება, მიგრაციის სფეროს მიმართაც შესაძლებლად მიგვაჩნია. ამ სქემის მიხედვით, მიზნად ვისახავთ აღნიშნული გენერალიზაციის განზოგადებას ქართველ შრომით მიგრანტთა სამიგრაციო სივრცესთან. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით (თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით – სიღრმისეული ინტერვიუ, ანკეტური და ონლაინ გამოკითხვა – აშშ-ში მცხოვრები ქართველი შრომითი მიგრანტებისა და საქართველოში მცხოვრები ოჯახის წევრების) და მეორად წყაროებზე (საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ცალკეულ ექსპერტთა კვლევებზე) დაყრდნობით, დავადგენთ თუ როგორ აღიქმება არსებულ, დაბრუნებულ და პოტენციურ მიგრანტებთან სამიგრაციო სივრცე და თავად მიგრაცია, როგორც სოციალური მოვლენა; ასევე ის, თუ რამდენად ჰომოგენური (ან ჰეტეროგენულია) ეს სივრცე და როგორ აღიქვამენ/დებულობენ მას პროცესის მთავარი მონაწილეები. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კვლევის არეალი მხოლოდ ერთი ქვეყნითაა წარმოდგენილი და რეპრეზენტატიულ ხასიათს არ ატარებს, მიღწეული შედეგების საფუძველზე, მაინც მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია რიგი რეკომენდაციების შემუშავება საქართველოს მიგრაციული პოლიტიკის შესახებ, რათა ემიგრაცია, როგორც ერთ-ერთი პრობლემური რეალობა ჩვენი ქვეყნისა, გახდეს მართვადი, ხელი შეუწყოს მიგრანტთა

უფლებების დაცვას უცხოეთში და უზრუნველყოს პროცესის დარეგულირება, როგორც დღევანდელ მიგრანტთა, ასევე დაბრუნებულთა მხარდასაჭერად შრომითი რეინტეგრაციის მიზნით.

მთავარი საკვლევი კითხვაა: რამდენად ჰომოგენურია თითოეული ემიგრანტის მიერ შექმნილი საემიგრაციო სივრცე? ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როცა საქმე ეხება არარეგულირებად ქართულ შრომით ემიგრაციას, სადაც არსებული სამართლებრივი სტატუსის გამო, ისედაც დარღვეულია მიგრანტთა შრომითი უფლებები, შეზღუდულია საკომუნიკაციო თუ კულტურული სივრცე და მისი აღქმა/მოაზრება ძალიან სუბიექტურ ხასიათს ატარებს. იმისათვის, რომ ვუპასუხოთ თუ რა სივრცეები აყალიბებს/განსაზღვრავს ერთდროულად ქართველთა საემიგრაციო სივრცეს, ერთჯერ კიდევ უნდა გავიხსენოთ სივრცის ცნება, რომელიც “შემოუსაზღვრავი და შეუზღუდავი არეალია, სადაც ადგილი აქვს ყველა ფიზიკურ მოვლენას”. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მოცემული ნაშრომის მიზანია. ეს განმარტება უამრავ პროცესს მოიცავს. ჩვენი კვლევის მთავარი კითხვა კი მიემართება იმას, თუ რა ადგილი უჭირავს ამ სივრცეში მიგრაციას, როგორც დინამიურ საზოგადოებრივ პროცესს, რა შინაარსს ატარებს ის და რა როლს თამაშობს თავად მიგრანტი მასში.

ეკა დარბაიძე
დოქტორანტი, თსუ

**ოფიციალური ვებ-საიტები საქართველოში არსებული
ვითარების შესახებ**

პოზიტიური ტურისტული იმიჯის ფორმირება მრავალი წამყვანი სახელმწიფოს პოლიტიკური პრიორიტეტია. ცნობილია, რომ ტურისტული ინდუსტრია ეკონომიკის ერთ-ერთ უმსხვილეს, მაღალშემოსავლიან და უაღრესად დინამიურ სფეროს წარმოადგენს, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. რაც შეეხება საქართველოს, ტურიზმი ეკონომიკის აღორძინების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებადაა მიჩნეული. აღნიშნული სექტორის განვითარებას ამა თუ იმ სახელმწიფოში დიდწილად განაპირობებს მისი შიდა სტაბილურობა, უსაფრთხო გარემო და ეკონომიკური განვითარების შესაბამისი დონე. ტურიზმის ინდუსტრიას შეუძლია ხელი შეუწყოს საქართველოს სტაბილურობასა და უსაფრთხოებას, სამუშაო ადგილების შექმნის, შემოსავლების ზრდის, ეკონომიკის დივერსიფიკაციის, გარემოს დაცვისა და კულტურათა დაახლოების გზით.

ტურისტული იმიჯის ფორმირება და მისი ცვლილება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებულია სახელმწიფო იმიჯის ცვლილებაზე. უსაფრთხო და მიმზიდველი სახელმწიფო იმიჯი იზიდავს მეტ ტურისტს ქვეყანაში. დღევანდელ მსოფლიოში, რომელშიც მრავლად არის სხვადასხვა სახის ბუნებრივი თუ ადამიანის მიერ გამოწვეული საფრთხეები, დღევანდელი ტურისტი ბევრად უფრო გათვითცნობიერებული და ინფორმირებულია მათ შესახებ და შესაბამისად, გამგზავრების წინ არჩევანს მისთვის უსაფრთხო და მიმზიდველი იმიჯის მქონე ქვეყანაზე აკეთებს.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ტურისტული იმიჯი ფორმირდება სამი ძირითადი კომპონენტისაგან:

- უცხოურ ოფიციალურ ვებ-საიტებზე მოცემული ინფორმაციები საქართველოში არსებული ვითარების შესახებ;

- საქართველოში ნამყოფი უცხოელების მიერ თავიანთი შთაბეჭდილებების გადმოცემა სოციალურ ქსელებში;

- საქართველოს სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სარეკლამო კამპანია ქვეყანაში უცხოელი ტურისტების მოსაზიდად.

უცხოურ ოფიციალურ ვებ-საიტებზე ძირითადად მოცემულია გამაფრთხილებელი ხასიათის ინფორმაციები ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ უსაფრთხოების კუთხით, ჩამოთვლილია ის ფაქტორები, რომლებმაც საქართველოში ჩამოსულ უცხოელ ვიზიტორებს შესაძლოა პრობლემები შეუქმნას. ცხადია, რაც უფრო ნაკლებია ასეთი სახის ინფორმაციები, მით უფრო მიმზიდველი და პოზიტიურია ქვეყანა ტურისტებისათვის მოგზაურობის თვალსაზრისით.

დასავლეთის სახელმწიფოებიდან საქართველოს შესახებ ტურისტებისათვის განკუთვნილი ინფორმაციები განთავსებულია: ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, გაერთიანებული სამეფოს, საფრანგეთის, ავსტრალიის, შვეიცარიის კონფედერაციის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ირლანდიისა და ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროების ვებ-გვერდებზე.

ჩვენს მიერ შესწავლილი საგარეო უწყებების ოფიციალურ ვებ-საიტებზე, მოგზაურთათვის შექმნილია სპეციალური გვერდი, რომელიც იუწყება, რომ მათ მიერ განთავსებული ინფორმაციები სანდო და უტყუარ წყაროებს ეფუძნება და მათი განახლება რეგულარულ ხასიათს ატარებს.

საქართველოს საერთაშორისო ტურისტული იმიჯის შესასწავლად ოფიციალური საგარეო უწყებების საიტებზე განთავსებულ მასალებს 2006 წლიდან ვაკვირდები. საინტერესო იყო იმის გარკვევა, მსოფლიოს რომელი

სახელმწიფოები ავრცელებენ აღნიშნული სახის ინფორმაციებს საქართველოს შესახებ, როგორც შინაარსის შემცველი იყო და არის აღნიშნული ინფორმაციები და როგორია მათი განახლების დინამიკა 2006 წლიდან დღემდე. აღნიშნული მასალის შესწავლა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ თუ როგორ იცვლებოდა საქართველოს ტურისტული იმიჯი.

მარეს დევიძე
დოქტორანტი, თსუ

ავთანდილ ტუკვაძე
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

**პოლიტიკური კულტურის განვითარების ტენდენციები
საქართველოში**

საქართველოს პოლიტიკური კულტურა იმყოფება ტრანსფორმაციის პროცესში, არ გააჩნია ერთმნიშვნელოვნად გამოკვეთილი ტენდენცია, შეიცავს ქვეშევრდომულ, პატრიარქალურ, მონაწილეობით ორიენტაციებს, განსხვავებულ იდეოლოგიურ ორიენტირებს, მრავალფეროვან სუბკულტურებს, რომელთა ნაწილი არ იდენტიფიცირდება ქართულ სახელმწიფოებრიობასთან და მთლიანობაში აღებული მასში ჭარბობს ავტორიტარული-მორჩილებითი ტიპის კულტურის ფრაგმენტირებული ელემენტები.

ქვეშევრდომული კულტურის ელემენტების სიმრავლეს განაპირობებს, ერთი მხრივ, საბჭოთა ტოტალიტარულ-ავტორიტარული შემკვიდრება და, მეორე მხრივ, მათი აღორძინება მინიშვნელოვან-წილად განაპირობა ედუარდ შევარდნაძის და განსაკუთრებით მიხეილ სააკაშვილის ავტორიტარულ-ავტოკრატიულმა მმართველობამ: გარდამავალი პერიოდის საქართველოსთვის დამახასიათებელია დემოკრატია თეორიაში და ავტორიტარიზმი პრაქტიკაში;

ავტორიტარული პოლიტიკური კულტურის მახასიათებელის “მტრის ხატის” კონსტრუირების მეთოდის ხშირი გამოყენება პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ, რომელიც წარმატებით უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, ხელისუფლების გარშემო მხარდამჭერების კონსოლიდაციას და, მეორე მხრივ, არაკონსტრუქციული ოპოზიციის არსებობას; დემოკრატია (აშშ-ში მაკარტიზმი)

დიდი ხანია უარი თქვეს მსგავსი პრაქტიკის გამოყენებაზე პოლიტიკურ პროცესში, ყოფილი ტოტალიტარულ-ავტორიტარული რეჟიმები აქტიურად იყენებენ მანკიერ პრაქტიკას: ქართული სინმდვილეში პრორუსული პოზიცია მტრის შექმნის საუკეთესო საბაზია (იმედის მოდელირებული ქრონიკა, ნაციონალების რიტორიკა და ა.შ).

მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქარიზმულ ლიდერზე ემოციური მიბმულობის პოლიტიკური ორიენტაციები და კულტურა: საზოგადოების პოლიტიკური ქცევების მოდელი განპირობებულია მსხნელი ლიდერის მოლოდინებით, დაპირებებით, იმეგაცრუებით; ლიდერისადმი რწმენის პატრიარქალურმა-ქვეშევრდომულმა კულტურამ ახლებური იმპულსი და გარდასახვა ჰპოვა ზვიად გამსახურდიას (ყველაზე მეტი ქარიზმა ჰქონდა ქვეყნის შიგნით), ედუარდ შევარდნაძის (მეტი მხარდამჭერები ქვეყნის გარეთ ჰყავდა), მიხეილ სააკაშვილის (მას ჰქონდა თავდაპირველად ერთდროული მხარდამჭერა ქვეყნის შიგნით და გარეთ), ბიძინა ივანიშვილის (მხოლოდ მან გამოავლინა რაციონალურ-ბიუროკრატიული ლიდერის თვისებები) პიროვნებებში;

გარდამავალი პერიოდის ლიდერებს უკავშირდება პარტიები (“მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო”, “მოქალაქეთა კავშირი”, “ნაციონალური მოძრაობა”, “ქართული ოცნება”), ელიტები (ეთნოპოლიტიკური შეფერილობის, ნეონომენკლტურული, ავტორიტარულ-ავტოკრატიული), რომელთა შიგნით საშემსრულებლო პოლიტიკური კულტურის ელემენტები ჭარბობენ; პატრიარქალური კულტურის ელემენტებს მნიშვნელოვნად აძლიერებდა ქურდული მენტალიტეტის აღორძინება, რომელიც ჯაბა იოსელიანის ფაქტორმა და მისმა რეფორმებმა (ქურდებს მიეცათ უფლება ბიზნესსა და პოლიტიკაში მონაწილეობის) და შევარდნაძის დროინდელმა ორხელისუფლებიანობამ (იოსელიანი-შევარდნაძე) განაპირობა, მაგრამ მ. სააკაშვილის დროს გატარებულმა

პოლიტიკამ ქურდული მენტალიტეტის გავლენა მნიშვნელოვნად შეამცირა;

სამოქალაქო, მონაწილეობითი, დემოკრატიული კულტურის ელემენტები გააძლიერა 2012 წლის ოქტომბრის თავისუფალი, დემოკრატიული არჩევების პრეცედენტმა, რომელმაც ხელისუფლების მშვიდობიანი მონაცვლეობის პოლიტიკური კულტურას ჩაუყარა საფუძველი (ჰანტინგტონის მიხედვით დემოკრატიისთვის მინიმუმ ორჯერ არის საჭირო ხელისუფლების მშვიდობიანად მონაცვლეობის ტესტის ჩაბარება);

პოლიტიკურ კულტურაში რელიგიური და ეთნიკური ტოლერანტობის კულტურა და ტრადიცია, რომელიც კოდირებულია ქართულ ცნობიერებაში, დემოკრატიის “უჩვეულო ადგილას” აშენების პერსპექტივას სახავს; ლიბერალური-დასავლური დემოკრატიის წარმატებული ტრანსპლანტაციის შესაძლებლობას აძლიერებს ერის ინტელექტუალური პოტენციალი, პროდასავლური ორიენტაცია, ასოცირების ხელშეკრულება და ევროპული ფასეულობებისა და იდეოლოგიური ორიენტირების კულტურის გაძლიერება;

მარეს დევიძე
დოქტორანტი, თსუ

კონფლიქტები ორგანიზაციაში

XXI საუკუნეში ორგანიზაციების მუშაობა და ფუნქციონირება გლობალურ კონტექსტში განიხილება. შექმნილია ტრანსნაციონალური ორგანიზაციები, რომელთა მუშაობა განპირობებულია ახალი სახის ურთიერთობებით. ასეთ ორგანიზაციებში მომუშავე პერსონალი სირთულეებს აწყდება კულტურული განსხვავებების გამო. ტრანსნაციონალურ ორგანიზაციაში მომუშავეთა იდენტობა თანამედროვე კვლევებში ორი სახისაა. ორგანიზაციებში მუშაობენ ადამიანები, რომლებიც “ლოკალურებად” ან “კოსმოპოლიტებად” ითვლებიან. ეს მახასიათებლები შესწავლილია ორგანიზაციის კულტურის კონტექსტში.

საქართველოში, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, შექმნილია ტრანსნაციონალური ორგანიზაციები. საბაზრო ეკონომიკამ ჩვენში არსებული ორგანიზაციების დიდი ნაწილი გლობალურ სივრცეში ჩართო. ამ ორგანიზაციებში, ძირითადად, დასაქმებულნი არიან საქართველოში მცხოვრები პირები, რომელთა ერთი ნაწილი შეიძლება მივაკუთვნოთ “ლოკალებს” (ადგილობრივებს), ხოლო მეორე კი – “კოსმოპოლიტებს”. მატულობს მათ შორის დაპირისპირება სხვადასხვა სფეროში, რომელიც ხელს უშლის ორგანიზაციის საქმიანობის, მისი ძირითადი ღირებულებების სრულყოფილად წარმოჩენასა და განვითარებას. ორგანიზაციებში თავად “ლოკალებს” (ადგილობრივებს) აქვთ ხშირი კონფლიქტები, რომლებიც მოქმედებს ორგანიზაციის წინსვლასა და, რაც მთავარია, ორგანიზაციის პროდუქტიულობაზე. ასეთი ვითარებაა თითქმის ყველა ორგანიზაციაში, რომელთაც პრეტენზია აქვთ, იყვნენ ტრანსნაციონალური.

ჩვენში ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, შევისწავლოთ ამ ორ ტიპს - “ლოკალებსა” (ადგილობრივებს) და „კოსმოპოლიტებს“ - შორის განსხვავებები და მათი ზეგავლენა ორგანიზაციის განვითარებაზე.

ვალერიან დოლიძე
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

ავთანდილ ტუკვაძე
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

**პოლიტიკური სტაბილურობა და სოციალური მობილობა
პოსტსაბჭოთა საქართველოში**

ნაშრომში, თანამედროვე საქართველოს მაგალითზე, განხილულია სოციალური მობილობის გავლენა პოლიტიკურ სტაბილურობაზე.

პოსტკომუნიზმი გულისხმობს ფუნდამენტალური ხასიათის ცვლილებების განხორციელებას საზოგადოების ყველა სფეროში, მისი ფუნქციონირების პრინციპების შეცვლას. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური მობილობა. მის საფუძველზე მიმდინარეობს ძველი სტრატეგიკაციური სისტემის შეცვლა ახლით, რაც აისახება პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებაზე და გავლენას ახდენს როგორც პოსტკომუნიზტური საქართველოს პოლიტიკური რეჟიმის ფორმირებაზე, ასევე ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობაზე.

პოსტსაბჭოთა საქართველოში პოლიტიკურმა მობილობამ შეცვალა პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების საზოგადოებრივი გარემო. ეს, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება ინტერესების არტიკულაციის საზოგადოებრივი ბაზის გარდაქმნაში. პოლიტეკონომიური სისტემის შეცვლამ გამოიწვია აღმავალი და დაღმავალი სოციალური მობილობის ნაკადების ინტენსიფიკაცია, რამაც გამოიწვია ახალი იდენტობებისა და ინტერესების წარმოშობა. ამის შედეგად ინტერესების არტიკულაციის ჰომოგენური საზოგადოებრივი ბაზა უფრო დისკრეტული და წინააღმდეგობრივი გახდა, რის გამოც გართულდა სხვადასხვა ინტერესების აგრეგაცია და ყველასათვის მისაღები პოლიტიკური კურსების ფორმირების პროცესი.

პოსტკომუნისტური სოციალური მობილობის მიერ წარმოშობილმა ახალმა იდენტობებმა გამოიწვია არა მხოლოდ ახალი ინტერესების წარმოშობა, არამედ მათი დავიწროვებაც, რასაც თან ახლავს მათ შორის წინააღმდეგობების გაღრმავება, რაც აძლიერებს საზოგადოების კონფლიქტურ ხასიათს და საფრთხეს უქმნის მის სტაბილობას.

პოსტკომუნისტურ გავლელამ წარმოშვა სოციალური მობილობის ახალი არხები. ისინი შეიძლება ორ დიდ ჯგუფად დავყოთ – სოციალური მობილობის ფორმალური და არაფორმალური არხები. პოსტკომუნისტურ დასაწყისში სოციალური მობილობა (როგორც აღმავალი, ასევე დაღმავალი) მასობრივ ხასიათს იძენს. ის გამოდის სამართლებრივი სივრციდან, იწვევს სახელმწიფოს შეზრდას კერძო ინტერესებთან, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის არსებული დისტანციის მინიმალურამდე შემცირებას და სახელმწიფოს, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების გატარების ადმინისტრაციული მექანიზმის დასუსტებას. ქართული პოსტკომუნისტურ დასაწყისში სოციალური მობილობის არაფორმალური არხები ასრულებენ სოციალური და პოლიტიკური ამორტიზატორების ფუნქციას, რადგანაც ასუსტებენ საზოგადოებრივ ზეწოლას პოლიტიკურ სისტემაზე, რაც პოლიტიკური სტაბილურობის სასარგებლოდ მოქმედებდა, მაგრამ ამავდროულად იწვევდნენ ხელისუფლების დემოკრატიზაციის პროცესების გაღრმავებისა და პარტისიპატორული პოლიტიკური კულტურის გამოქმნაგვისათვის საჭირო ობიექტური საზოგადოებრივ-პოლიტიკური პირობების დასუსტებას. ასეთი სიტუაცია ხელს უწყობს წარსულიდან მიღებული ქვეშევრდომლური კულტურის გაძლიერებას, რაც იწვევს დემოკრატიზაციის პროცესის შეჩერებასა და საზოგადოებრივი ხელისუფლების განხორციელების დამორჩილებას კერძო ინტერესებისადმი, სამართლებრივი კულტურის დაქვეითებას, სახელმწიფოს დასუსტებას. სახელმწიფო ბიუროკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილის

კერძო ინტერესებთან შეზრდამ სახელმწიფოს დააკარგვინა საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტის უნარი, რამაც თავის მხრივ დაასუსტა არსებული ხელისუფლების ლეგიტიმურობა, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია პოლიტიკური სისტემის დესტაბილიზაცია და სახელმწიფო გადატრიალება, რამაც მიიღო “ვარდების რევოლუციის” სახელწოდება. ამ პოლიტიკური ცვლილების შედეგად შექმნილი ახალი ხელისუფლება სოციალური მობილობის პროცესებს აქცევს სამართლებრივ სივრცეში, მაგრამ ისე, რომ ის თავის კონტროლს დაუმორჩილოს და გამოიყენოს საკუთარი სოციალური ბაზის განმტკიცებისათვის. მაგრამ, ამის მიუხედავად, სააკაშვილის ხელისუფლების ზეწოლის შედეგად, იმდენად აძლიერდა დაღმავალი სოციალური მობილობა, რომ ამან წარმოშვა დესტაბილიზაცია და საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო სააკაშვილის რეჟიმის დამხობას, ლეგიტიმური არჩევნების საშუალებით.

პოსტკომუნისტური საქართველო ხასიათდება დაღმავალი სოციალური მობილობის ნაკადების გაძლიერებით და აღმავალის დასუსტებით, რაც საფრთხეს უქმნის პოლიტიკური რეჟიმის სტაბილურობას. ამის უშუალო მიზეზია აღმავალი სოციალური მობილობის არსების (სოციალური ლიფტების) შემცირება და დასუსტება, რაც მათი გამტარუნარიანობის შევიწროვებაში ვლინდება. ეს აძლიერებს იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას საქართველოს პოლიტიკური სისტემა და წარმოშობს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის სტაბილურობის პრობლემას. დაღმავალი სოციალური მობილობის უარყოფითი პოლიტიკური შედეგების საწინააღმდეგოდ მოქმედებს სივრცითი მობილობა. სოციალური ლიფტების შემცირება და დასუსტება მხოლოდ იმ შემთხვევაში უქმნის საფრთხეს პოლიტიკურ სტაბილურობას, თუ მოთხოვნა აღმავალ მობილობაზე მკვეთრად აღემატება სოციალური ლიფტების რაოდენობასა და გამტარუნარიანობას.

სალომე დუნდუა
ასოცირებული პროფესორი, თსუ

**ეთნიკური ნაციონალიზმიდან სამოქალაქო ნაციონალიზმამდე:
საქართველოს პოლიტიკა 1990 წლიდან დღემდე**

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 24 წლის შემდეგაც კი ძნელია საქართველოს პოლიტიკურ და საჯარო დისკურსს ფართო საზოგადოებრივ მონაწილეობზე დაფუძნებული კონსოლიდირებული, პლურალისტური კულტურა ვუწოდოთ. კომუნიზმის მარცხის შემდეგ სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებთან ერთად თავი გარკვეული ტიპის რელიგიურ - ეთნიკურმა პრობლემებმაც იჩინა. არცთუ მძლავრი დემოკრატიული ინსტიტუტები ვერ ახერხებენ საზოგადოების ერთიან, სამოქალაქო ერთობად ტრანსფორმირებას და, შესაბამისად, ეთნიკური ნაციონალიზმის ნაცვლად სამოქალაქო ნაციონალიზმის წარმოქმნას.

სამოქალაქო ნაციონალიზმსა და სამოქალაქო ერის ცნებაზე საუბრისას, ძირითადად, შემდეგ პრინციპებს გამოყოფენ: ა) ეთნიკური, რელიგიური, რასობრივი და სხვა ტიპის იდენტობების მეორე პლანზე მოქცევა და იდენტობის მოქალაქეობის ცნებაზე დაფუძნება. ბ)საერთო სოციალურ-ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბება, სადაც მოქალაქეებს გაუჩნდებათ ინტეგრირებულობის განცდა და საკუთარ თავს მოიაზრებენ მის შემქმნელ, მამოძრავებელ ძალად. გ) ლოიალობა სახელმწიფოსადმი, როგორც ერის ინტერესების დამცველი ორგანიზმისადმი; სახალხო სუვერენიტეტის კონცეფციის პრაქტიკული რეალიზების შესაძლებლობა.

საქართველოს, ისევე როგორც ბევრ პოსტსაბჭოთა ქვეყანას, გაუჭირდა პოლიტიკური ერის ფორმირება. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან მოყოლებული, არც ზვიად

გამსახურდიას და არც შევარდნაძის ხელისუფლებებს, პრაქტიკულად, არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამთ ეთნიკური უმცირესობების საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ჩართულობის ამადლების მიმართულებით. უფრო მეტიც, ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება არაერთხელ იქნა დადანიშნული ეთნოცენტრისტული პოლიტიკის გატარებაში. ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდი ხასიათდებოდა სრული სტაგნაციით. ხელისუფლება თითქმის არაფერს აკეთებდა ეთნიკური უმცირესობების საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ჩართულობის გასაზრდელად. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ხელისუფლება უფრო მეტად ვიწრო პოლიტიკური ინტერესების გამტარებლად გვევლინებოდა, და შესაბამისად, უმცირესობების უფლებების დასაცავად არც იწუხებდა დიდად თავს. საზოგადოების ყველაზე ადვილად მოწყვლადი ჯგუფების - ეთნიკური უმცირესობის ხმები, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენდნენ საარჩევნო პერიოდში.

2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ სიტუაცია დადებითად შეიცვალა. სააკაშვილის ხელისუფლებამ მოცემულ სფეროში სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით გარკვეული ნაბიჯები გადადგა. ამ ნაბიჯებს შორის შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე მათგანი :

1. ეთნიკურობის გრაფის ამოღება პირადობის მოწმობებიდან
2. ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართული, სახელმწიფო ენის სწავლება
3. უმცირესობების კულტურული ღირებულებებისა და ენის გადარჩენა შენარჩუნებაზე ზრუნვა
4. „პატრიოტთა ბანაკების“ შექმნა, სიმღერის კონკურსი ‘პატრიოტი’, პოლიციისა და ჯარისთვის ჰიმნების შექმნა, ვიდეო რგოლების გადაღება.

ენის სწავლების კუთხით გატარებული პოლიტიკა გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი შესაბამისად, მომავალი თაობა, რომელსაც ეცოდინება სახელმწიფო ენა და განათლებას საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში მიიღებს - მომავალში ერთ-ერთი მთავარი გარანტორი და ხელისშემწეობი ფაქტორი იქნება, რათა ეთნიკური უმცირესობების საჯარო - პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრაცია წარმატებული და მყარი აღმოჩნდეს.

ყოველივე ამან, ერთად აღებულმა, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებასთან ერთად, საბოლოო ჯამში, რეალური სამოქალაქო ნაციონალიზმის ჩამოყალიბებას უნდა შეუწყოს ხელი.

ნინო დურგლიშვილი
ასოცირებული პროფესორი, თსუ

მარინა ბურძენიძე
ასოცირებული პროფესორი, თსუ

**შრომის და საგანმანათლებლო ბაზრების
ურთიერთგაუცხობება თანამედროვე საქართველოში**

სამუშაო ადგილების სიმცირის გამო, შრომის ბაზარი ნაკლებად ახდენს კანონზომიერ გავლენას განათლების ბაზარზე, აქედან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ძირითადად განათლების ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირებენ. შესაბამისად, დაბალია უკუკავშირი შრომის ბაზრის აქტორების მხრიდანაც.

უმაღლესი განათლება აღიქმება როგორც დასაქმების აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა, ამიტომ, მაღალი მოთხოვნა უმაღლეს განათლებაზე უფრო სოციოკულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორებით არის გაპირობებული - საუნივერსიტეტო განათლება აღიქმება როგორც პიროვნული განვითარების, სოციალური კაპიტალის გაფართოებისა და სოციალიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო ბაზარზე უმაღლესი განათლების ხარისხისა თუ სწავლის პირობების მიმართ არსებული მოთხოვნები სწორედ ამ ფაქტორებს უკავშირდება და არა დასაქმების პერსპექტივას, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს წარმოშობს.

გიორგი კვინიკაძე
ასისტენტ პროფესორი, თსუ

მარინე ქვეციშვილი
დოქტორანტი, თსუ

ლუიზა აბაზაძე
მოწვეული პედაგოგი, თსუ

გეოეკონომიკური სტრატეგიები „ცივი ომის“ კონტექსტში

„ცივი ომის“ პერიოდისთვის დამახასიათებელი ისეთი პრობლემები როგორცაა: გამაღებელი შეიარაღება, სისტემათა შეჯიბრი სამხედრო და პოლიტიკური გავლენის სფეროებისათვის, სამეცნიერო ლიტერატურაში დეტალურადაა გაანალიზებული. თუმცა, ის კონკრეტული გეოეკონომიკური სტრატეგიები, რომელსაც აშშ და საბჭოთა კავშირი იყენებდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ, სრულყოფილად ჯერ კიდევ არაა შესწავლილი. ჩვენი სტატია ამ ხარვეზის შევსების მოკრძალებულ მცდელობას წარმოადგენს.

საარქივო მასალებსა (მაგალითად, NSDD 32 და NSDD 75) და ამ სფეროში მომუშავე ცნობილი მეცნიერთა (მაგალითად, ალექსანდრე ჰამილტონი, გეორგ ფრიდრიხ ლისტი, ელი ფილიპ ჰაქშერი, ედვარდ ჰალეტ კარი, ჯორჯ ფროსტ კენანი, პოლ მაიკლ კენედი, ჯოზეფ შუმპეტერი, ფრედ ჩარლზ იკლი, ედვარდ ნიკოლაე ლუტვაკი) ნაშრომების საფუძველზე, გაანალიზებულია პირველი ამერიკული ეკონომიკური დოქტრინა და მისი შექმნის გეოეკონომიკური წინამძღვრები.

ცნობილი ამერიკელი სტრატეგის ე.ნ. ლუტვაკის ნაშრომზე („ბიზანტიის იმპერიის სტრატეგია“) დაყრდნობით, მოცემულია

„ცივი ომის“ პერიოდის საბჭოთა და აშშ-ს იმპერიების გეოეკონომიკური სტრატეგიების შედარებითი ანალიზი. შეფასებულია მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ცივი ომის განმავლობაში აშშ-ს ეკონომიკური სტრატეგიის განვითარების კულმინაციას წარმოადგენდა რონალდ რეიგანის პრეზიდენტობის პერიოდი (1981-1989).

რ. რეიგანის ჯგუფის მიერ რეალიზებულ საბჭოთა კავშირის დაშლის სისტემურ სტრატეგიაში გამოყოფილია მისი გეოეკონომიკური შემადგენელი და ამ სტრატეგიის ლოგიკის შესაბამისად გაკეთებულია დასკვნები.

ნათია კუპრაშვილი
ასოცირებული პროფესორი, თსუ

**საკითხის აქტუალობის მობილობა დროსა და სივრცეში –
საქართველოში სირიის კრიზისის გაშუქების მაგალითზე**

მედიათეორიები მოვლენის აქტუალობას განიხილავენ დროითი სიახლოვის კონტექსტში, როცა მედია მოვლენებს აშუქებს სიტყვებით „დღეს“, „ახლა“ და როცა აუდიტორიაც პრობლემას, მოვლენას აღიქვამს რეალურ დროში, შესაბამისად თემის აქტუალობაც ემთხვევა მოვლენის რეალურ დროს.

მაგრამ, პრაქტიკა გვთავაზობს გამონაკლის შემთხვევებს, როგორც მაგალითად ქართული მედიის მიერ სირიის კრიზისის გაშუქება და თემის აქტუალიზებით გამოწვეული შედეგები იყო: მიუხედავად იმისა, რომ სირიის კრიზისი განსაკუთრებით მწვავე 2013-14 წლებში იყო, საქართველოში მოქმედმა მედიასაშუალებებმა თემის ინტენსიური გაშუქება 2015 წლის გაზაფხულზე განახორციელეს, რასაც შედეგად სირიის კრიზისით დაზარალებული მოსახლეობის მხარდამჭერი აქციები მოჰყვა. მაგალითად, 2015 წლის აპრილში საქართველოში 500-მდე ოჯახმა გამოხატა ოფიციალური მზადყოფნა – სირიიდან დევნილი ბავშვების შვილად აყვანის შესახებ, მაშინ, როცა მსგავსი ტიპის დახმარება იმავე ბავშვებს 2013-14 წლებში უფრო ესაჭიროებოდათ.

თემის მიზანია, გამოიკვლიოს რა ფაქტორები განაპირობებს მედიაში საკითხის აქტუალიზების აცდენას მოვლენის რეალურ დროსთან? თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიით, კონკრეტულად კი შესაბამისი ჟურნალისტური მასალების ავტორთა, ასევე მედიაპროფესიონალებთან ჩადრმავეებული ინტერვიუების, ამასთან რაოდენობრივი (2013-15 წლებში თემის გაშუქების

ინტენსივობა) მონაცემის მიხედვით, ქართულენოვან მედიაში სირიის კონფლიქტის გაშუქების მაგალითზე აჩვენოს საკითხის აქტუალობის მობილობა დროსა და სივრცეში.

ნონა კუპრეიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, თსუ შოთა რუსთაველის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

„ლიტერატურული ეკონომიკის“ კონცეპტები ილიას პროზაში

1. როგორც ცნობილია, „გლობალიზაციის სახით ჩვენ საქმე გვაქვს კულტურის სისტემაში კოდირებულ პარადიგმებთან“. მათი გახსნა-ამოცნობა ისეთი მწერლის შემოქმედების კონტექსტში, როგორც ილია ჭავჭავაძეა, ახლებურად დაგვანახებს არა მარტო ჩვენთვის კარგად ნაცნობ ან ნაკლებად გახმაურებულ ტექსტებს (აქვს ილიას რამდენიმე ასეთი პროზაული ნაწარმოებიც), არამედ თვით ავტორს - ქართული კულტურის იდენტობისთვის აქტიურად მებრძოლ მოღვაწეს.

2. თუ XX საუკუნის 90-იან წლებში დასავლურ ლიტერატურათმცოდნეობაში დანერგილ კვლევის მეთოდს, სახელწოდებით „ახალი ეკონომიკური კრიტიკა“, გამოვიყენებთ, უფრო თვალსაჩინოდ დავინახავთ ფეოდალიზმისა და კაპიტალისტურ ფორმაციათა მიჯნაზე მდგარი ქვეყნის გლობალურ სააზროვნო სივრცეში ჩართულობისაკენ მიმართულ ილიასეულ ძალისხმევას. ახალი ეკონომიკური წესრიგი, რომელსაც დრომოჭმული საზოგადოებრივი სტრუქტურა უნდა ჩაენაცვლებინა, მოითხოვდა „ისტორიის მიღმა დარჩენილი“ ერის ცნობიერების აქტივიზებას, წარსულზე ორიენტირებული და ბედსმინდობილი ქართველისაგან ახალი ფუნქციური, ეკონომიკური კრიტიკის ტერმინოლოგიით კი „ინტერესიანი ადამიანის“ ჩამოყალიბებას.

3. პოსტსაბჭოურ სივრცეში „ახალი ეკონომიკური კრიტიკის“ შესახებ პირველი თეორიული წერილი

ქურნალ „ახალ ლიტერატურულ მიმოხილვაში“ მიხეილ გრონასმა მოამზადა. მანვე წარადგინა ფაქტობრივად პირველი კრებული (Osteen, 1999), რომელშიც ახალი ეკონომიკური კრიტიკის მეთოდის გამზიარებელ ლიტერატორთა და ეკონომისტთა ტანდემი იყო წარმოდგენილი. კრებულს გრონასი „უცნაურ კონგლომერატსაც“ უწოდებს, რადგან ლიტერატურისა და ეკონომიკის ურთიერთდაახლოებით „იდეთა ეკონომიკურ ბაზარზე“ გამოტანილია ახალი პროდუქცია, რომელიც მომავალში არაერთ მკვლევარს დააინტერესებს.

4. ახალ ეკონომიკურ კრიტიკას, როგორც კელვეის მეთოდს, ინტერესთა სამი ძირითადი ვექტორი გააჩნია: ა) ლიტერატურის ეკონომიკა; ბ) ეკონომიკა ლიტერატურაში; გ) ლიტერატურასა და ეკონომიკას შუა. ახალი ეკონომიკის ამ სამ ძირითად ვექტორთან ილია ჭავჭავაძის პროზის კვლევა უპირატესად მაინც იმ მიმართულებითაა შეასაძლებელი, რომელსაც „ეკონომიკა ლიტერატურაში“ ეწოდება. ლიტერატურაში ასახული ეკონომიკა - ეს არის ლიტერატურულ ნაწარმოებში წარმოდგენილი ეკონომიკური ცნებებისა და მოვლენების ანალიზი, ლიტერატურულ ტექსტებში უკუფენილი ეკონომიკური პრობლემები. თუმცა ილიას რანგის შემოქმედთან მიმართებით ვერც დანარჩენი ორი ვექტორის იგნორირება მოხერხდება. მაგ. ლიტერატურის ეკონომიკის, ანუ ლიტერატურის როგორც მოდერნიზაციის ერთ-ერთი ფორმის, ფუნქციონირების განხილვა (პროფესიულ და ინსტიტუციონალურ დონეზე), მწერლობის პროფესიონალიზაციის ასპექტები. იგივე შეიძლება ითქვას მესამე ვექტორზეც - ლიტერატურასა და ეკონომიკას შუა - რომლის საშუალებით თვალს მივადევნებთ ლიტერატურულ და ეკონომიკურ ინტერესთა რიტორიკის ურთიერთხემოქმედების ხარისხს.

5. ილიას პროზაულ ტექსტებში გამოკვეთილი კონცეპტები (უქმი და საქმიანი სიტყვის; ხმლისა და საანგარიშოსი; მამულის, როგორც ეკონომიკური ფაქტორისა და მამულის, როგორც მეტაფორის; სოფლისა და ქალაქის და სხვ.) თანაბრადაა როგორც ლიტერატურულ და ეკონომიკურ დისკურსთა კორელაციის, ისე დამოუკიდებელი მხატვრული აზროვნების შედეგი. მათი დახმარებით მწერალი „დროის შესაფერისი საქმიანობის“ რეპრეზენტირებას ახდენს.

6. ის პარადიგმატული ძვრები, რომლებიც დღევანდელი კულტურული გლობალიზაციის მოდელებს განსაზღვრავენ, ილიას მიერ კრიტიკულადაა აღქმული. ევროპული ცივილიზაციის ძირითადი ღირებულებების (დინამიზმი, განახლებისა და სრულყოფისაკენ მუდმივი სწრაფვა) გაზიარება ჩვენ მიერ გასაანალიზებელ პროზაულ ნიმუშებსა და პუბლიცისტურ წერილებში წარმოდგენილია ილიას განმანათლებლურ იდეებზე დაფუძნებული პროგრესის ჭრილში, რაც გარკვეული გაგებით გლობალიზაციის სათავეებთან დგომად შეიძლება მივიჩნიოთ.

ალექსანდრე კუხიანიძე
პროფესორი, თსუ

**პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: დემოკრატიზაცია თუ
კრიმინალიზაცია?**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1990 წლების პირველ ნახევარში, იბეჭდებოდა უამრავი ნაშრომი დემოკრატიზაციის მესამე ტალღის შესახებ. თუმცა, იმავე ათწლეულის მეორე ნახევარშითემატიკას დაემატა ახალი გამოკვლევები პოსტსაბჭოთა კრიმინალიზაციის შესახებ. პოლიტიკის მეცნიერთა წინაშე დადგა დილემა: რა გზას დაადგა პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია - დემოკრატიზაციას თუ კრიმინალიზაციას. ამ საკითხზე პასუხი დამოკიდებულია პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სიტუაციაზე ცალკედ აღებულ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. მოცემულ პრეზენტაციაში წარმოდგენილი ანალიზი, ჩატარებულია ხუთი ქვეყნის მაგალითზე: საქართველო, რუსეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი და სომხეთი. პრეზენტაციის ძირითადი დებულებები:

1. დემოკრატიზაცია გულისხმობს საზოგადოების პერმანენტულ რეფორმირებას და ბრძოლას პოლიტიკური ძალაუფლების კრიმინალიზაციის წინააღმდეგ;
2. დემოკრატიზაცია შეიცავს მოდერნიზაციას, მაგრამ მხოლოდ მოდერნიზაცია ნიშნავს ავტორიტარული საზოგადოების მშენებლობას;
3. საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის პირველი - ნავთობი და გაზი თუ დემოკრატია და კანონის უზენაესობა - წარმოადგენს გადამწყვეტ ფაქტორს საზოგადოების დემოკრატიზაციის ან კრიმინალიზაციის პროცესში;
4. პოსტსაბჭოთა ქვეყანა, რომელსაც არ გააჩნია ნავთობი და გაზი, დაადგება დემოკრატიზაციის გზას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აირჩევს

ევროპული ფასეულობების დამკვიდრებისა და კომპლექსური რეფორმების გზას;

5. დანაშაული დამახასიათებელია ყველა სახელმწიფოსათვის, მაგრამ განსხვავება დემოკრატიაში და ავტორიტარულ მმართველობას შორის მდგომარეობს იმაში, რომ დემოკრატია შეუთავსებელია დანაშაულთან, მაშინ როცა ავტორიტარული მმართველობა შეიცავს დანაშაულს, როგორც მისი არსებობის ინტეგრალურ ნაწილს;
6. საქართველოს ახასიათებს გაყოფილი საზოგადოების სინდრომი, რომელიც სერიოზულად ასუსტებს დემოკრატიის მშენებლობას, ნდობას სამართალდამცავი ინსტიტუტების მიმართ და ხელს უწყობს დანაშაულის არსებობას. მიუხედავად ამისა, სტრატეგიული თვალსაზრისით, საქართველოს პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია წარმოადგენს დემოკრატიზაციის კრიმინალიზაციაზე გამარჯვების ისტორიას.

ანა ლეთოდინი

ფილოლოგიის დოქტორი, თსუ შოთა რუსთაველის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე

ფილოლოგიის დოქტორი, თსუ შოთა რუსთაველის ქართული
ლიტერატურის ინსტიტუტი

გლობალიზაციის პირველი ტალღა საბჭოური პერიოდის ქართულ ხელოვნებასა და ლიტერატურაში (XX საუკუნის 70-80-იანი წლები)

XX საუკუნეში საბჭოთა სისტემაში მოქცეული რესპუბლიკები გლობალიზაციის მსოფლიო პროცესებისაგან დასშუღ სივრცეში აღმოჩნდა. "რკინის ფარდის" მიღმა მიმდინარე სოციალ-პოლიტიკური თუ კულტურული პროცესები და სიახლეები (ერთეული შემთხვევების გარდა) უცნობი იყო. 70-იანი წლებიდან (განსაკუთრებით მეორე ნახევრიდან) იდეოლოგიური დიქტატურა ოდნავ შესუსტდა, რაც მყისიერად აისახა კულტურაში. 80-იანი წლებიდან ნელ-ნელა თავისუფლდება საზოგადოებრივი აზრი, შედარებით მეტი ინფორმაცია შემოდის დასავლეთიდან, მაღლდება ახალგაზრდობის განათლებისა და ინფორმირებულობის დონე, რაც პიროვნული თვითრეალიზაციისაკენ სწრაფვას აძლიერებს.

თავისუფლება იმთავითვე იგრძო მუსიკამ: ე. მაჭავარიანის მუსიკალური გადაცემები; "ივერიის" როკოპერა "არგონავტები"; ლ. ბურდული და ჯგუფი "რეცეპტი", ასევე "ტაქსი", "აუტსაიდერი", რითაც ჩვენში როკმუსიკის ახალი ტალღა და პოსტპანკის ეპოქა დაიწყო. ნოვაცია შეინიშნება სახვით ხელოვნებაში: კანონიზებული სპექტრული ფერწერის გვერდით ჩნდება არაფიგურატული ხელოვნება – აბსტრაქცია, კოლაჟი (ა. ბანძელაძე, ა. ვარაზი), ასეთივე

ტენდენციები შეინიშნება ქანდაკებასა (გ. ჯაფარიძე, თ. კიკლაშივილი...) და მონუმენტურ-დეკორაციულ ხელოვნებაში (ნ. იგნატოვი), რაც 80-იანების ბოლოდან პოსტმოდერნისტული ტენდენციების გამოვლენით გაგრძელდა. 60-70-იანი წლები ქართულ თეატრში ნოვატორული ძიებებისა და განსხვავებული მიმართულებების დამკვიდრების ეპოქაა (მ. თუმანიშვილი, რ. სტურუა, თ. ჩხეიძე), ხოლო 60-70-იანი წლების ქართული კინო პირდაპირ დისიდენტურად გამოცხადდა, რადგან ამ პერიოდის რეჟისორებმა (ე. და გ. შენგელაიები, მ. კოკონაშვილი, თ. იოსელიანი, ს. ფარაჯანოვი) გარემოსთან და სტერეოტიპებთან მებრძოლი გმირი შემოიყვანეს კინოში: თ. იოსელიანის "გიორგობისთვე" და "აპრილი", გ. შენგელაიას "ალავერდობა", ე. შენგელაიას "არაჩვეულებრივი გამოფენა", მ. კოკონაშვილის "დიდი მწვანე ველი"...

არ ვიქნებით ტენდენციური, თუ ვიტყვით, რომ დომინანტი ქართულ კულტურაში, ტრადიციისამებრ, ისევ მწერლობა იყო. 60-იანი წლებიდან მოსულმა ახალმა თაობამ, რომელიც 1957 წელს დაარსებული ჟურნალ "ცისკრის" ირგვლივ შემოიკრიბა, დიდი ხმაური გამოიწვია ლიტერატურულ ცხოვრებაში. ამ პროცესში მოგვიანებით უკვე ცნობილ მწერლებთან ერთად ჩაერთო ახალგაზრდული ფრთა. მათ მიერ შემოტანილი სიახლეების, კერძოდ კი ეგზისტენციალური ტენდენციების ანალიზი არის ჩვენი მოხსენების ძირითადი თემა.

ეგზისტენციალიზმი, როგორც ფილოსოფიური მიმდინარეობა, XX საუკუნის 20-იან წლებში ჩნდება საფრანგეთში (რელიგიური ფრთა, რომელიც გაბრიელ მარსელის სახელს უკავშირდება), რასაც 40-იანი წლებიდან ათეისტური ეგზისტენციალიზმის ნაირსახეობები ემატება (სარტრი, კამიუ, მერლო-პონტი). მაღე ამ ახალმა ფილოსოფიურმა მიმართულებამ ლიტერატურაშიც შეაღწია, რაც დღეს **ლიტერატურული ეგზისტენციალიზმის** სახელითაა ცნობილი.

ევროპული ევზისტენციალიზმის გამომწვევი მიზეზი XX საუკუნის ბურჟუაზიული ცივილიზაციის კრიზისი იყო, გაცვდა სულიერი ფასეულობები, ცხოვრებამ კი ამის საპირწონედ ვერაფერი შესთავაზა ადამიანს, აზრდაკარგულმა არსებობამ ტრაგიზმი წარმოშვა, ადამიანი დაეჭვდა ღვთის ყოვლისშემძლეობასა და მის უპირობო სიკეთეში. ამ გლობალურ პრობლემატიკას ქართულ სინამდვილეში დაემატა ის პროტესტანტული განწყობაც, რომელიც კომუნისტურმა რეჟიმმა და ეროვნულ-ქრისტიანული ღირებულებების გაუფასურებამ გამოიწვია. ევზისტენციალიზმმა ლიტერატურაში მოიტანა სიახლეები: ასახვის განსხვავებული ფორმები, წერის თავისებური ტექნიკა, ტრადიციული ეპიკური სიუჟეტური სქემის დემონტაჟი და ყურადღების გადატანა ამბიდან პერსონაჟის შინაგანი მდგომარეობის აღწერაზე ანუ ფსიქოლოგიზმზე, მის არაცნობიერში მიმდინარე პროცესების გამომხეურების სურვილმა კი "ცნობიერების ნაკადის" დამკვიდრება გამოიწვია. 70-იანი წლების ბოლოს ამ სიახლეებს ლიტერატურის ასპარეზზე ახლადგამოსული ნიჭიერი თაობა დაუხვდა: მ. აბაშიძე, გ. ლომაძე, მ. ალექსიძე, თ. ჩალაური, ჯ. თოფურიძე, ქ. ნიჟარაძე, ა. მხეიძე, კ. ჯანდიერი და ა. შ. *"დამსხვრეული სამყარო"*, მასთან გაწყვეტილი კავშირი და ამის გამო მარტოდ დარჩენილი ადამიანი: სევდა, შიში, მარტოობა, უიმედობა – ამ პერიოდის ქართული მოთხრობის ნიშანდობლივი მახასიათებლებია. მოხსენებაში სწორედ ამ საკითხებს გავაანალიზებთ დასახელებული მწერლების რამდენიმე მოთხრობის საფუძველზე.

გიორგი ლეკვეიშვილი
დოქტორანტი, თსუ

ვალერიან მელიქიძე
ასოციერებული პროფესორი, თსუ

კარინე მელიქიძე
პროფესორი, სტუ

ადგილობრივი ენერგოსექტორის განვითარების რეგიონული პრობლემები საქართველოში

საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, სადაც მოსახლეობის შემოსავლები საკმაოდ დაბალია და სოფლებში ხშირად ნატურალურ მეურნეობაზეა დამოკიდებული.

განვითარებადი ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ცენტრალიზებული მმართველობის პირობებში ხშირად იკარგება მცირე საქალაქო და სასოფლო დასახლებების ინტერესები. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ მათი პრობლემები საერთოდ იგნორირებულია, თუმცა პრიორიტეტის დონე საკმაოდ დაბალია. იმ პრობლემათა შორის, რომლის წინაშეც მუნიციპალური ხელისუფლება დგას, ერთ-ერთი წამყვანია ენერგეტიკული სექტორის განვითარება.

საქართველოს არ გააჩნია საკუთარი საწვავი წიაღისეული რესურსები - დამოკიდებულია იმპორტირებულ ბუნებრივ და თხევად აირზე. მოსახლეობისთვის ენერჯის შექმნა ხშირად ხდება პრობლემა, რაც იწვევს ენერგო სიღარიბეს. ეს უკანასკნელი ზრდის რეალურ სიღარიბეს, რის გამოც, მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმდება.

მოსახლეობა ორიენტაციას იღებს ადგილობრივ განახლებად რესურსებზე (შეშა), რაც ქმნის რეალურ ეკოლოგიურ პრობლემებს (გაუტყვეურება). ამასთან, ენერჯია გამოიყენება

ძალიან არაეფექტურად და დანაკარგები მაღალია ყველა სექტორში.

2011-2013 წლებში არასამთავრობო ორგანიზაცია “მდგრადი განვითარების და პოლიტიკის ცენტრმა” USAID-ის პროექტის, „ბუნებრივი რესურსების ინტეგრირებული მართვა საქართველოს წყალშემკრებ აუზებში“ (INRMW), ფარგლებში ჩაატარა ენერგოსექტორის კვლევა საქართველოს ორ წყალშემკრებ აუზზე (რიონი და ალაზანი) მდებარე შვიდ მუნიციპალიტეტში: ამბროლაურის, ონის, თელავის, ახმეტის, დედოფლისწყაროს, სენაკისა და ხობის მუნიციპალიტეტებში.

კვლევამ გვიჩვენა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება თითქმის მთლიანად ამოვარდნილია მიმდინარე პროცესებიდან. ხშირად მუნიციპალური ხელისუფლების წარმომადგენლებს მხოლოდ არაფორმალური ურთიერთობა აქვთ ადგილობრივი ენერგოსექტორის წარმომადგენლებთან. მაშინ, როდესაც მუნიციპალიტეტის ინტერესებში უნდა შედიოდეს ადგილობრივი ენერგოსექტორის ეფექტური მართვა და მოსახლეობის მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილება.

USAID-ის პროექტმა ვერ მოიცვა ბევრი ის პრობლემა, რომელიც კვლევის პროცესში მოულოდნელად წარმოჩინდა. ამასთან, გამოკითხული 7 მუნიციპალიტეტი არის დაახლოებით 10% საქართველოს მუნიციპალიტეტების საერთო რაოდენობის, ამიტომ მთლიან საქართველოზე წარმოდგენის შესაქმნელად არ გამოდგებოდა.

აგრეთვე, USAID-ის მიერ გამოკითხულ მუნიციპალიტეტებში ვერ მოხდა არატიპური რეგიონები, რომელთაც ახასიათებთ ეთნიკური მრავალფეროვნება.

ზემოთხსენებული მიზეზების გამო კვლევა გაგრძელდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით მტკვრისა და აჭარისწყლის წყალშემკრებ აუზებზე მდებარე კიდევ 7 მუნიციპალიტეტში.

ახალი კვლევისათვის სპეციალურად შეიქმნა ისეთი არარტიკური რეგიონები, რომლებიც გამოირჩევიან ეთნიკური მრავალფეროვნებით (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი), ან ადმინისტრაციული მოწყობის თავისებურებით (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა).

ჩვენი მიზანია მოიძებნოს ენერგო მოხმარების ოპტიმიზაციის გზები საქართველოს მუნიციპალიტეტებში. მოხსენებაში წარმოდგენილია საქართველოს 12 მუნიციპალიტეტის ენერგოსექტორის კვლევის შედეგები.

თონა მატარაძე

ასისტენტ-პროფესორი, თსუ

მიგრაციის სოციალური ეფექტები საქართველოს სოფლებში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში მიგრაციული პროცესები მნიშვნელოვნად გაიზარდა. პოლიტიკურმა კრიზისებმა, ეთნიკურმა დაპირისპირებებმა, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ, მილიონობით ყოფილ საბჭოთა მოქალაქეს უბიძგა გადარჩენის გზები სხვა ქვეყნებში ეძებნათ. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IMO) მონაცემებით 2005 წელს საქართველოს მოქალაქეთა მეხუთედი ქვეყნიდან მიგრირებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ მწვავე ეთნო-ნაციონალისტურმა მოძრაობებმა და ომებმა ბევრ არაეთნიკურ ქართველს უბიძგა ქვეყანა დაეტოვებინათ 90-იან წლებში. ჩემს მიერ პრეზენტაციაში განხილულ მიგრაციულ პროცესებს ძირითადად ეკონომიკური ხასიათი აქვთ და დიდწილად უმუშევრობის მაღალი დონით არის განპირობებული. წარმოდგენილი მასალა შეგროვილია ერთწლიანი სოციალურ ანთროპოლოგიური საველე სამუშაოების შედეგად, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში განვახორციელე. ერთ-ერთ სოფელში ჩატარებული საველე სამუშაოების პირობებში გამოვიყენე სხვადასხვა კვლევის მეთოდი: ჩართული დაკვირვება, აღწერა, ჩაღრმავებული ინტერვიუ, დოკუმენტების ანალიზი.

პრეზენტაციის მიზანი არის ზოგადად დავახასიათო მიგრაციული პროცესი სოფლის დასახლებებიდან და გავანალიზო მიგრაციული პროცესის გავლენა შინამეურნეობის ეკონომიკასა და ოჯახის სტრუქტურაზე. შესწავლილი სოფლის დასახლებებიდან მიგრაციული პროცესი

ძირითადად ხასიათდება ზოგადად მიგრაციისთვის დამახასიათებელი ნიშნებით, თუმცა აქვს ზოგიერთი სპეციფიკა: ადგილობრივი მიგრაციული პროცესი არ შეიძლება განიხილებოდეს "ტვინების გადინებად" ('brain drain'), მიგრანტები, რომლებსაც სოფლად არ რჩებათ ოჯახის წევრები, ნაკლებად არიან მიდრეკილნი უკან დაბრუნებისაკენ; მიგრაციის ადგილას უძრავი ქონების ფლობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პირი აღქმული იქნება თუ არა მიგრანტად ერთობაში; მიგრაციის პროცესში ადგილობრივი მიგრანტების ნახევარი არაღვალურად ცხოვრობს და მუშაობს.

პრეზენტაციის პროცესში აქცენტს გაგაკეთებ არა თავად მიგრანტებზე, არამედ როგორ მოქმედებს მიგრაცია სოფლად დარჩენილ ოჯახის წევრებსა და ზოგადად ოჯახის სტრუქტურაზე. მეუღლეების მიგრაციის შემდეგ ქალები განიცდიან ერთობის მხრიდან სოციალურ ზეწოლას და ხშირად აღქმულნი არიან, როგორც მიტოვებული ქალები, რომელთა ქმრებს მიგრაციის ადგილას სხვა სექსუალური პარტნიორები ყავთ. მსგავსი დამოკიდებულებები კონფლიქტს და დაძაბულობას აჩენს წყვილის ურთიერთობაში. გარდა ამისა, ქალებს ყოველდღიურად უხდებათ გადალახონ სოციალური და ეკონომიკური სიძნელები, რომლებსაც მეუღლის წასვლის შემდეგ მარტო უნდა გაართვან თავი. ქალის ქვეყნის გარეთ მიგრაციის შემთხვევაში, ოჯახი უფრო მძიმე მდგომარეობაშია, რადგან ოჯახის სტრუქტურა უფრო მოწყვლადი ხდება თავი გაართვას დიასახლისის არყოფნით გამოწვეულ სირთულეებს.

მიგრაციას მნიშვნელოვანი ეკონომიკური გავლენა აქვს სოფლის მცხოვრებთა მოქალაქეობრივ პრაქტიკებზე. მიგრანტთა ფულად გზავნილებზე დამოკიდებული ოჯახებისათვის, გზავნილები სახელმწიფოსგან მოთხოვნილი სოციალურ უფლებების საპირწონეა.

პოლიტიკური უფლებების მიხედვით, მიგრანტები შეიძლება განვიხილოთ, როგორც 'პასიური მოქალაქეები' (თერნერი, 2001), რომლებიც ძირითადად მათი პირადი და ოჯახის ეკონომიკური პრობლემების გადაჭრით არიან დაკავებული. თუმცა ეს მიკერძოებული პოზიციაა, რადგან მიგრანტთა ფულადი გზავნილები ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას; ზრდის განათლების, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობას; ოჯახის წევრებს უგვარებს საცხოვრისთან დაკავშირებულ პრობლემებს; ამცირებს სიღარიბის დონეს და ნაწილობრივ ანაცვლებს სახელმწიფოს სოციალურ პასუხისმგებლობას მიგრანტების მიმართ (დადვიკი, 2011).

მიუხედავად იმისა, რომ მიგრანტები მათ ოჯახის წევრებს სოციალურ უსაფრთხოებას უქმნიან, თავად მოკლებულნი არიან სოციალურ უფლებებს როგორც მიმღები ისე გამგზავნი სახელმწიფოებში.

მალხაზ მაცაბერიძე
პროფესორი, თსუ

კავკასია გეოპოლიტიკის კონტექსტში
(ვიქტორ ნოზაძის კონცეფცია)

გეოპოლიტიკური კვლევების პოპულარობა მე-20 საუკუნის 20-30-იან წლებში შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას. იწყება საქართველოს და კავკასიის პრობლემების გააზრება იმ დროისათვის ახალი დისციპლინის - გეოპოლიტიკის ცნებებისა და კატეგორიების გამოყენებით. ამ მხრივ ერთ-ერთი პირველი იყო ვიქტორ ნოზაძე, რომელმაც 1930 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი „კავკასიის გეოპოლიტიკისათვის (ბრძოლა ნავთის გამო)“ (ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“, NN 54-58). დასახელებული ნაშრომი, სამწუხაროდ, დღემდე მივიწყებულია, არადა მას ღირსეული ადგილი შეიძლება მივაკუთვნოთ ქართული გეოპოლიტიკური აზრის ისტორიაში.

ვიქტორ ნოზაძე საქართველოსა და კავკასიაში განვითარებულ მოვლენებს სხვა ნაშრომებშიც ეხება. მაგალითად, იმავე წელს გამოქვეყნებული აქვს ნაშრომი „ევროპა და კავკასია“ (ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“, 1930, NN 51-52). მაგრამ კავკასიაში განვითარებული მოვლენების გეოპოლიტიკურ გააზრებას ცდილობს სწორედ ნაშრომში „კავკასიის გეოპოლიტიკისათვის“. ამასთან ვიქტორ ნოზაძე იძლევა გეოპოლიტიკის როგორც დისციპლინის განსაზღვრებას და განმარტავს მის ძირითად ცნებებს. ვიქტორ ნოზაძე არ იმოწმებს კონკრეტულ ავტორებს, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გერმანული გეოპოლიტიკიდან მისთვის პირველ რიგში ანგარიშგასაწევი იყო ერიკ ობსტის ნაშრომები

(ობსტმა 1924 წელს, საქართველოში მოგზაურობის შემდეგ, გამოაქვეყნა ნაშრომი „საქართველო. გეოპოლიტიკური ნარკვევი“). ნოზაძე ემყარება მდიდარ ფაქტობრივ მასალას საქართველოს და კავკასიის ძველი და ახალი დროის ისტორიიდან.

ვიკტორ ნოზაძის გეოპოლიტიკური კონცეფცია მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალიბოთ: ძველი და ახალი დროის იმპერიებისთვის (გეოპოლიტიკური სუბიექტებისთვის) კავკასია იყო „ზრდისა და გაფართოების არეალი“, „გეოპოლიტიკურ ძალთა ასპარეზი“, „გეოპოლიტიკურ ძალთა ხაზების გადაკვეთის“ ადგილი. ახალ დროში გეოპოლიტიკური სუბიექტების კავკასიისკენ სწრაფვის მთავარი მოტივი ბაქოს ნავთის საბადოების დაუფლების სურვილი გახდა.

კავკასიის ქვეყნები თავისუფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიაღწევდნენ, თუკი შედგება „კავკასიის ხალხთა პოლიტიკური მთლიანობა“ (სხვა საკითხია თუ როგორი პოლიტიკური ფორმით). კავკასიის სახელმწიფოებმა ეს ვერ მოახერხეს 1918-1921 წლებში, ამიტომაც ერთი-მეორის მიყოლებით ადვილად დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა. სხვა გეოპოლიტიკურმა ძალებმა კი, საბოლოო ჯამში, წინააღმდეგობა არ გაუწიეს ბოლშევიკურ ექსპანსიას. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი ის აღმოჩნდა, რომ დიდი ნავთობკომპანიები მალევე გაურიგდნენ საბჭოთა რუსეთს კავკასიის ნავთობის საკითხში.

ვიკტორ ნოზაძის აზრით, გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველო ყოველთვის ესწრაფვოდა კავკასიის გამაერთიანებლის როლში გამოსულიყო. ძლიერების ხანაში საქართველო ცდილობდა ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში მოექცია კავკასია, თუკი დასუსტებული იყო, - ცდილობდა კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას კავკასიის სხვა პოლიტიკურ ერთეულებთან. იგულისხმება, რომ საქართველომ იგივე როლი უნდა შეასრულოს მომავალშიც.

ვიკტორ ნოზაძის დახასიათებით, თბილისი არის კავკასიის გეოპოლიტიკური ცენტრი. იმპერიებისთვის, რომლებიც კავკასიის დაპყრობას ცდილობდნენ, ესწრაფვოდნენ თბილისის დაუფლებას, რადგანც, მათთვის ეს იყო „ზრდისა და გაფართოების წვერო“.ამავე დროს თბილისი საყრდენი პუნქტი იყო საქართველოსა და კავკასიის გამაერთიანებელი ძალებისთვის.

აღნიშნული ნაშრომით ვიკტორ ნოზაძე შეეცადა მხარი დაეჭირა გამაერთიანებელი მოძრაობისთვის, რაც იმ დროისათვის კავკასიის ქვეყნების ემიგრანტულ წრეებში გაჩნდა და „კავკასიის კონფედერაციის“ შექმნას ისახავდა მიზნად.

გიორგი მელიქიძე
დოქტორანტი, თსუ

**საარჩევნო ანგარიშვალდებულება: საქართველოს პარტიული
სისტემის ანალიზი**

დემოკრატიულ სისტემებში პოლიტიკური პარტიების მხრიდან ამომრჩევლის მიმართ ანგარიშვალდებულება განიხილება დამქირავებლისა (Principal - (ელექტორატი)) და დაქირავებულის (Agent - (არჩეული პარტიის) ჰრილში. ამ კუთხით გამოიყოფა შემდეგი სახის ურთიერთკავშირი: პროგრამული, პერსონალური და კლიენტელისტური. ამომრჩევლის მიერ საკუთარი წარმომადგენლის არჩევა წარმომადგენლობითი დემოკრატიის საფუძველია, თუმცა რიგ შემთხვევებში საარჩევნო ანგარიშვალდებულება შეფერხებულია. „კენჭისყრის რეტროსპექტული“ თეორია მიუთითებს, რომ არ ხდება ამომრჩევლის ინტერესების რეპრეზენტაცია და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, რადგან არჩეული წარმომადგენელი არ ასრულებს საკუთარ წინასაარჩევნო დაპირებას.

აღნიშნული სტატიის მიზანია შეისწავლოს საქართველოში საარჩევნო ანგარიშვალდებულებისა და რეპრეზენტატულობის გამოცდილება. კვლევის შედეგები დაგვეხმარება გავაანალიზოთ, თუ რა ფაქტორები განაპირობებს საარჩევნო ანგარიშვალდებულების კუთხით არსებულ რეალობას.

კვლევის დროს ჩვენ ვიყენებთ თვისებრივი კვლევის მეთოდს მონოგრაფიულ გამოკვლევას (Case Study-ს). ჩვენი მიზანია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოვლენა და იმ მიზეზების დადგენა, თუ რამ განაპირობა საარჩევნო ანგარიშვალდებულების / რეპრეზენტატულობის კუთხით არსებული ვითარება. ჩვენი ქეისი იქნება საარჩევნო ანგარიშვალდებულების მოდელი საქართველოში. „ექსპერტული“ ინტერვიუები ექსპერტებთან და სიღრმისეული ინტერვიუები პოლიტიკურ პარტიებთან საშუალებას მოგვცემს ამომწურავად შევისწავლოთ საკვლევი საკითხი. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად გამოვიყენებთ ჩვენთვის საინტერესო სტატიების, ინტერვიუების და დოკუმენტების ანალიზის მეთოდს.

გარდამავალი დემოკრატიის პირობებში ახლად შექმნილ პარტიებსა და ამომრჩევებს შორის იკვეთება სუსტი წარმომადგენლობითი კავშირი. საქართველოში წინასაარჩევნო დაპირება უმეტესწილად ამომრჩეველთა მოზიდვაზეა ორიენტირებული და არ არის ანგარიშვალდებულებით შეზღუდული, ამიტომ იგი იშვითად გამოიყენება, როგორც კავშირის ეფექტური ინსტრუმენტი ამომრჩეველსა და არჩეულ პოლიტიკურ ძალას შორის. გამსახურდიას პოლიტიკური ფიგურის განსაკუთრებულმა პერსონალიზაციამ, ყოფილ მომხრეებთან დაპირისპირებამ და არსებულმა რადიკალიზმმა ხელისუფლების ძალადობრივი ცვლილება განაპირობა, რამაც შექმნა ხელისუფლების არასაარჩევნო გზით შეცვლის პრეცედენტი და შეაფერხა საარჩევნო ანგარიშვალდებულება. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში სახელმწიფოში ჩამოყალიბდა პატრონალისტურ-კლიენტელისტური კავშირები. ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში მოსული სააკაშვილი მკვეთრი პერსონალიზაციითა და პრეზიდენტის ინსტიტუტის გაძლიერების მიდრეკილებით გამოირჩეოდა, თუმცა კლიენტელისტური კავშირები კვლავ შენარჩუნდა. პოსტ-საბჭოთა საქართველოში 2012 წელს ხელისუფლების არჩევნების გზით გადაბარებამ დადებითი პრეცედენტი შექმნა, თუმცა ეს მხოლოდ ცალკეული შემთხვევაა.

საქართველოში წლების მანძილზე პოლიტიკურ პარტიებსა და ელექტორატს შორის არსებული კლიენტელისტური კავშირი და პოლიტიკის პერსონალიზაცია განაპირობებს პროგრამული ანგარიშვალდებულებისა და რეპრეზენტატულობის ჩანაცვლებას პერსონალურ-კლიენტელისტური ინტერაქციით. დომინანტი მმართველი პარტია, არასაკმარისად ინფორმირებული ამომრჩეველი და პოლიტიკაში არსებული პატრონალისტური და კლიენტელისტური კავშირები აფერხებს ქვეყანაში საარჩევნო ანგარიშვალდებულებასა და რეპრეზენტატულობას. საარჩევნო ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად აუცილებელია პერსონალურ-კლიენტელისტური კავშირი შეიცვალოს პოლიტიკურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული პროგრამული ინტერაქციით ამომრჩეველსა და პარტიებს შორის.

ეკატერინე მეტრეველი
დოქტორი, თსუ

**შეხედულება ქალის როლის და სტატუსის ევოლუციის შესახებ
თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში**

საზოგადოებრივმა პრაქტიკამ სოციალური თანამშრომლობის სფეროში ცხადყო, რომ იურიდიული უფლებებისა და თავისუფლებების მთელი კომპლექსის არსებობის პირობებშიც კი მოსახლეობის გარკვეულ ფენებს, სოციალური ან ფიზიოლოგიური მიზეზების გამო არა აქვთ არსებობისა და მოქმედების თანაბარი შესაძლებლობანი, რის გამოც ისინი სახელმწიფოს მხრიდან სპეციალურ სამართლებრივ დაცვას საჭიროებენ და, შესაძლოა, წარმოადგენენ სამართლებრივი ურთიერთობების დამოუკიდებელ სუბიექტებს. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო სამართალში გაჩნდა კიდევ ერთი მიმართულება ე.წ. „ადამიანთა უფლებების მესამე თაობა“, რომელიც მიზნად ისახავს ცალკეული სოციალური ჯგუფების სასიცოცხლო შესაძლებლობების გაფართოებას.

„ადამიანთა უფლებების მესამე თაობის“ ყურადღების ცენტრში არიან ქალები. მსოფლიო თანამეგობრობა აღიარებს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად გარკვეული წინსვლისა ორი სქესის თანასწორუფლებიანობის მიღწევის საქმეში, საზოგადოებაში კვლავ არსებობს ქალების დისკრიმინაცია, რომელიც საზოგადოების კეთილდღეობის ზრდის ერთ-ერთი ხელისშემშლელი პირობაა. დღეს საზოგადოების დემოკრატიის ხარისხის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს სწორედ ქალების პოლიტიკური აქტივობა წარმოადგენს.

ასეთ ფონზე მნიშვნელოვანი გახდა შეგვესწავლა, თუ როგორ განიცდის ევოლუციას საქართველოში წარმოდგენები ქალის როლისა და სტატუსის შესახებ. რა ფაქტორები

განსაზღვრავენ თანამედროვე შეხედულებებს ქალის სოციალური ფუნქციის შესახებ. ჩვენს ქვეყანაში ისევე, როგორც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, დემოკრატიზაციის პროცესებმა გამოიწვია ხელისუფლების ორგანოებში ქალების რაოდენობის კლება. ამის ერთ-ერთი მიზეზი კი შეიძლება იყოს მასობრივ ცნობიერებაში ქალის პოლიტიკაში აღქმის არსებული სტერეოტიპი, რომელიც მნიშვნელოვან ბარიერს წარმოადგენს.

ამ მიზნით ჩავატარეთ სპეციალური ემპირიული კვლევა. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ასეთი სტერეოტიპი სულ უფრო სუსტდება. მიუხედავად იმისა, რომ გენდერული სტერეოტიპის შეცვლა საკმაოდ გრძელვადიანი და რთული პროცესია, სხვადასხვა სოციოლოგიური კვლევების შედეგები, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ საზოგადოებაში თანდათან იცვლება განწყობა ქალის სოციალური როლის შესახებ, რაც საზოგადოების დემოკრატიზაციის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

აღნიშნული კვლევა სწორედ ამ აქტუალურ თემას ეხება. ვფიქრობთ ჩვენი საზოგადოების განვითარების შესაფასებლად მნიშვნელოვანი იქნება გავაშუქოთ რა ვითარებაა ამ კუთხით და როგორია საზოგადოების აზრი და დამოკიდებულება გენდერული პრობლემის მიმართ.

დალი ოსეფაშვილი
პროფესორი, თსუ

**მულტიმედია ახალი ამბების გამოყენება თანამედროვე
ქართულ ბეჭდვით და ონლაინმედიაში**

მოსხენების მიზანია წარმოვადგინოთ კვლევის შედეგები თუ როგორ იცვლება ქართულ ბეჭდურ და ონლაინმედიაში ფორმისეული სტრუქტურა ახალი ამბების გავრცელებისას და ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება რა გავლენას ახდენს ჟურნალისტური სტილის ფორმებზე (უანრებზე).

როგორ ვითარდება მულტიმედია ჟურნალისტიკა საქართველოში? როგორ აისახება ეს პროცესი ახალი ამბების ფორმისეულ ტრანსფორმაციაზე? რა სიხშირით გამოიყენება ქართულ გაზეთებში კონვერგირებული ნიუსრუმი? ეს დროის გამოწვევაა თუ ტრადიციული მედიის დასასრული? - ეს გახლავთ ძირითადი საკვლევი შეკითხვები.

კვლევის ძირითად მეთოდად გამოყენებულია რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კვლევა ჩატარდა ელექტრონულად, 2014 წლის თებერვალში. კითხვარი დაეგზავნა 150 ჟურნალისტს. ამ ინტერნეტ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სულ 114 ჟურნალისტმა.

კვლევის შედეგების თანახმად, როგორც გამოკითხული ჟურნალისტების 47% აღნიშნავს, თითქმის ყოველდღიურად გამოიყენება მათ რედაქციაში მულტიმედია ფორმები; ჟურნალისტების 54 % -ის აზრით, მიუხედავად ახალი ამბების გავრცელებისას მულტიმედია ფორმების აქტიური გამოყენებისა და ტექსტთან ერთად ვიდეოების დართვისა ბეჭდურ და საინფორმაციო სააგენტოების ვებგვერდებზე, ეს მაინც არ ნიშნავს საგაზეთო ინდუსტრიის დასასრულს. მულტიმედია ახალ ამბებს ბევრი დადებითი თვისება აქვთ და ეს მხოლოდ დროის გამოწვევაა ტრადიციული ანუ ვერტიკალური მედიისთვის.

ნანული ტალახაძე

ასოცირებული პროფესორი, თსუ

ემიგრანტული ჟურნალი „გუშაგი“ – „ქართული ეროვნული პოლიტიკისა და ლიტერატურის ორგანო“

ნაშრომში განხილულია მეოცე საუკუნის 70-90-იან წლებში პარიზში გამომაველი ქართული ემიგრანტული პერიოდული ორგანოს „გუშაგის“ დაარსების ისტორია, მისი სარედაქციო პოლიტიკა, რომელიც ორიენტირებული იყო ანტისაბჭოთა პროპაგანდაზე, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მხარდაჭერასა და „დემოკრატიული წესწყობილებისა და თავისუფლების გაბატონებაზე.“ ასევე შესწავლილია ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლის, „გუშაგის“ დამაარსებლის – გიორგი წერეთლის რედაქტორული და პუბლიცისტური მოღვაწეობა.

ჟურნალი „გუშაგი“, რომლის ყდაზეც მითითებულია მისი მიმართულება- „ქართული ეროვნული პოლიტიკისა და ლიტერატურის ორგანო“, გამოდიოდა 1984-1993 წლებში და მდიდარ ინფორმაციულ და ანალიტიკურ მასალას შეიცავს როგორც გასული საუკუნის 70-80-იან წლების საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ, ისე ქართული ემიგრაციის საქმიანობაზე, მათ დამოკიდებულებაზე საქართველოში მიმდინარე მძაფრ პოლიტიკურ თუ სოციალურ საკითხებზე.

„გუშაგი“ თავისი მიმართულებითა და პოლიტიკური პლატფორმით გაგრძელება იყო პარიზში 1974-1984 წლებში გამომაველი ემიგრანტული გაზეთისა სახელწოდებით „თავისუფლების ტრიბუნა“, რომელსაც ასევე გიორგი წერეთელი რედაქტორობდა. სწორედ მისი ერთპიროვნული გადაწყვეტილებით 1984 წელს შეიცვალა გაზეთის ფორმა, იგი ჟურნალად გადაკეთდა და სათაურად „გუშაგი“ ეწოდა. რედაქტორის განმარტებით

- ამ აპელაციის ქვეშ იგი გულისხმობდა „ვდარაჯობ ქართველ ერს“.

ქურნალს ჰქონდა რამდენიმე განყოფილება: პოლიტიკის, კულტურის, პოეზიის, მოგონებათა და სხვ. ასევე სამგლოვიარო განყოფილება, რომელიც საზოგადოებას აცნობდა ემიგრაციაში გარდაცვლილი ქართველების დეაწლს ქვეყნის წინაშე. ქურნალი კერძო გამოცემა იყო და იგი ძირითადად შემოწირულობებით ფინანსდებოდა. ყოველ ნომერში იბეჭდებოდა „გუშაგის ფონდის ანგარიშები“ და იმ ადამიანების ვინაობა, ვინც აქტიურად ეხმარებოდა ქურნალს. „გუშაგის,, მთავარი ნაწილი კი ანალიზურ სტატიებს ეთმობოდა, რომელთა უმრავლესობაც მის რედაქტორსა და პუბლიცისტს გიორგი წერეთლის კალამს ეკუთვნოდა. გ. წერეთლის პოლიტიკური ხასიათის სტატიებში საფუძვლიანად და არგუმენტირებულად იყო გაანალიზებული საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური თუ სოციალური პროცესები, 9 აპრილის ტრაგედია, ანტისაბჭოთა გამოსვლების მიზეზები, პოლიტიკური პარტიების ლიდერების პოზიციები და „გუშაგი“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უპირობო ლიდერებად აღიარებდა მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიას. მათი ნაწარმოებები, წერილები, მიმართვები, გამოსვლების ჩანაწერები ხშირად იბეჭდებოდა ქურნალის ფურცლებზე.

„გუშაგი“ აღტაცებით გამოეხმაურა 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენას და სურვილი გამოთქვა საქართველოს ახალმა მთავრობამ, ის 26 მაისი, რომელიც „საქართველოს დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკის შობის“ დღეა და მას 70 წლის განმავლობაში ყოველწლიურად აღნიშნავდა ქართული ემიგრაცია, თანამედროვე საქართველოს ეროვნულ დღესასწაულად გამოცხადებულიყო.. ასეც მოხდა.

ქურნალის რედაქტორი გიორგი წერეთელი გარდაიცვალა 1993 წელს და დაკრძალეს ლევილის სასაფლაოზე. იმე

წელს შეწვდა ჟურნალ „გუშაგის“ გამოცემაც, რომელმაც ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიაში საპატიო ადგილი დაიკავა. იგი მრავალი წლის განმავლობაში ქართველ ემიგრანტებს და მათ შთამომავლებს აწვდიდა მრავალფეროვან ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემების შესახებ და ასევე ფართოდ აშუქებდა საქართველოს ისტორიის, კულტურის, ხელოვნებისა თუ ლიტერატურის საკითხებსაც. თითქმის ყველა ნომერში რუბრიკით „პოეზია“ იბეჭდებოდა ემიგრანტი მწერლების, ქართველი კლასიკოსებისა თუ თანამედროვე პოეტების ლექსები. ჟურნალმა ვრცელი ადგილი დაუთმო 1990 წელს ქართული ხელოვნების პრეზენტაციას პარიზში: თანამედროვე ქართველი მხატვრების გამოფენას, კინორეჟისორ ოთარ იოსელიანის შემოქმედებას, ბალერინა ეთერ ფალავას სპექტაკლებს და ა.შ. საინტერესო რუბრიკა იყო „უცხოური პრესა საქართველოს შესახებ“, სადაც იბეჭდებოდა სხვადასხვა პრესიდან ამოკრეფილი და თარგმნილი მასალები. „გუშაგი“ სისტემატურად იყენებდა რადიო „თავისუფლების“ ინფორმაციებსაც .

ჟურნალი „გუშაგი“ ემიგრანტული მედიის საინტერესო პერიოდული ორგანოა და თავისი ისტორიულ-კულტურული ღირებულებით ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილიცაა.

გრიგოლ უროტაძე
დოქტორანტი, თსუ

**"საქართველოს მონაწილეობა სოჭის ოლიმპიადაზე -
კონფლიქტის ესკალაცია
(ბეჭდვითი მედიამასალის მიხედვით)**

ოლიმპიური მოძრაობა და პოლიტიკური პროტესტი მჭიდროდ დაკავშირებული მოვლენებია. კომუნიკაციების განვითარებისა და გადრმავეების ეპოქაში საკითხის შესწავლა საშუალებას მოგვცემს მსოფლიო თანამეგობრობის ხელშეწყობითა და მედია საშუალებებით საერთაშორისო ზეწოლის აქტივაციის განხორციელებით მივაგნოთ საქართველოს დეოკუპაციის გზებს.

ნაშრომში განხილულია ბეჭდვით მედიაში გამოქვეყნებული მასალები, რომელთა შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

- ბეჭდურ მედიაში გამოქვეყნებული მასალების შესწავლის შედეგად გამოვლინდა კონფლიქტის ესკალაციის სამი დონე
- კონფლიქტი არ გადავიდა უფრო მწვავე ფაზებში, რაც შესაძლებელს ხდის დეესკალაციისკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებას. (შესაძლებელია ამიტომ შეიკავა თავი აშშ-მ რუსეთისთვის საქართველოს ოკუპანტის სტატუსის მინიჭებაზე)
- სოჭის ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ მედიაში შუქდებოდა მხოლოდ ოლიმპიური მიღწევები და მოვლენები განიხილებოდა არა პოლიტიკურ, არამედ მხოლოდ სპორტულ ჭრილში
- ქართულმა ოპოზიციამ კარგად გამოიყენა თემა, როგორც შიდა პოლიტიკურ სივრცეში, ოპონირება გაუწია რა ხელისუფლებას, ასევე გარე პოლიტიკურ სივრცეშიც, დაანახა რა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებს ხელისუფლების ლოიალური დამოკიდებულება რუსეთისადმი

- ოპოზიციამ მმართველ პარტიაზე ზეწოლის ბერკეტად კარგად გამოიყენა სოჭის ოლიმპიადა, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ პოლიტიკური ზეწოლისთვის ნებისმიერი ხერხი, მათ შორის სპორტიც კი ხელსაყრელია
- საქართველოსა და აშშ-ს, მის სტრატეგიულ პარტნიორს, ოლიმპიადის ბოიკოტთან დამოკიდებულებაში განსხვავებული პოზიციები ჰქონდათ. საქართველოს უნდოდა საერთაშორისო ზეწოლის აქტივაცია მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მიზნით; აშშ-ს პოლიტიკა მიმართული ოლიმპიადის ბოიკოტისკენ კი გადიოდა არა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოთხოვნის ფონზე, არამედ ლგბტთა და შრომითი მიგრანტების უფლებების დაცვისა და კუტინის მთავრობის კორუფციული გარიგებების მხილების ფონზე.
- დღევანდელი მდგომარეობით სახეზეა კონფლიქტის სრული დეესკალაცია, არაეინ აღარ იხსენებს რატომ და რისთვის უნდოდათ ოლიმპიადის ბოიკოტი
- საქართველომ ვერ გამოიყენა ოლიმპიადა პოლიტიკურ ტრიბუნად, მსოფლიოსთვის თავისი პრობლემების შესხენებისა და გადაჭრის მიზნით

მარინე ქვეხიშივილი
დოქტორანტი, თსუ

ორგანიზაციული კულტურის სპეციფიკა საქართველოში

წარმოდგენილი სტატია ორგანიზაციული კულტურის გაგებას, თანამედროვე საქართველოში მისი თავისებურებების შესწავლას ეხება. ორგანიზაციული კულტურა შეიძლება, როგორც იდეების, ღირებულებების, ნორმების და საერთო წესების ერთობლიობად განისაზღვროს, რომელიც არეგულირებს ქცევას, მუშაობის სტილს და ურთიერთობებს.

ორგანიზაციული კულტურა ადამიანებს თავიანთი როლის გაცნობიერებაში ეხმარება. ინდივიდები ცოდნას სოციალურ პროცესში ჩართულობითა და მონაწილეობით იძენენ, რითაც ორგანიზაციული კულტურის შექმნაში საკუთარი წვლილი შეაქვთ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციული კულტურის ცვლილება და ტრანსფორმაციის პროცესი გავლენას თავად ორგანიზაციის სამუშაო მეთოდებსა და შიდა ურთიერთობებზე ახდენს.

მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ არის გაგებული ეფექტური ორგანიზაციული კულტურა, როგორც *ორგანიზაციის წარმატების ერთ-ერთი ფაქტორი*, და როგორ ხდება მისი კვლევა ქართულ რეალობაში.

საქართველოში ორგანიზაციული კულტურის სპეციფიკის გამოკვლევისა და შესწავლის მიზნით გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, ჩაღრმავებული ინტერვიუ. ორგანიზაციულ კულტურასთან დაკავშირებით მოპოვებულია ამა თუ იმ ორგანიზაციის თანამშრომელთა შეხედულებები.

სტატიაში „ორგანიზაციული კულტურის სპეციფიკა საქართველოში“ შევეცდებით, ორგანიზაციული კულტურის

სურათი იმ ინსტრუმენტებისა და მექანიზმების აღწერით
წარმოვადგინოთ, რომლებსაც სხვადასხვა ორგანიზაციები
ორგანიზაციული კულტურის ანალიზისა და შეფასების
დროს იყენებენ.

მანანა შამილიშვილი
ასოცირებული პროფესორი, თსუ

მარი წერეთელი
ასოცირებული პროფესორი, თსუ

**ლიბერალურ ღირებულებათა რეფლექსია 1918 – 1921
წლების ქართულ პრესაში**

კვლევა მიზნად ისახავს საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დროინდელი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემების მიერ გაცხადებული ღირებულებითი ორიენტირების თავისებურებათა წარმოჩენას. ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული „ქართული ევროპეიზმის“ იდეა, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ჟურნალიზმის ანტიკოლონიურ კონცეფციად ჩამოყალიბდა, პირველი დამოუკიდებლობის წლების პრესაში ახალ დატვირთვას იძენს. საძიებო პერიოდის პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, იმდროინდელი ჟურნალიზმის მთლიან ფენომენად განხილვა რთულია, რადგან, სულ ცოტა, სამი, ერთმანეთისგან მეტად განსხვავებული მსოფლმხედველობრივი ვექტორი მაინც იკვეთება.

მიუხედავად ამისა, მოცემული პერიოდის ჟურნალისტიკა საკაცობრიო განვითარების კონტექსტის გათვალისწინებით ცდილობს განსაზღვროს ქვეყნის შესაძლო პერსპექტივა. იმდროინდელ დაპირისპირებულ, დომინანტ იდეოლოგიურ პროექტებში წარმონდგება: ერთი მხრივ, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებით ცვლილებებისკენ მომწოდებელი, სამოციანელთა იდეური მემკვიდრე ეროვნულ – დემოკრატიული და სოციალისტ – ფედერალისტური მიმართულების პარტიები, ხოლო მეორე მხრივ, ქვეყნის მესაჭე, მოდერნიზატორი სოციალ-დემოკრატები (თავდაპირველად, ეროვნული თვითმყოფადობის უგულებელმყოფელი, შემდგომში კი –

გამზიარებელი). ეს ოპოზიცია თვალნათლივ აისახა მონიშნული ეტაპის მედიადისკურსის ჩამოყალიბებისას. მყიფე სახელმწიფოებრიობის პირობებში ქვეყნის განვითარების გზა ყველაზე უკეთ ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებულ მედიატექსტებშია გაცხადებული. კვლევით დასტურდება, რომ ეს სტრატეგია სადღეისოდაც ინარჩუნებს აქტუალობას.

პრესის მოღვაწეთა მცდელობა, განემარტათ საზოგადოებისათვის სამოქალაქო თავისუფლებების არსი და მნიშვნელობა, კლასიკური ლიბერალიზმის პრინციპებზე დაფუძნებულ შემდეგ უფლებრივ განზომილებებს მოიაზრებდა: რწმენისა და გამოსატვის თავისუფლებას, კანონის უზენაესობას, პერსონალურ ავტონომიურობასა და ინდივიდუალურ უფლებებს. შემდგომში ამ ნუსხას სხვა ელემენტებიც დაემატა. შეიძლება ითქვას, რომ 1918 – 1921 წლების ურნალისტიკაში დემოკრატიული ღირებულებებისადმი გამორჩეული დამოკიდებულება ლიბერალური ღირებულებების უზენაესობისა და აქედან გამომდინარე, პიროვნების თავისუფალი ნების შეუვალობის აღიარებაში გამოიხატა. აქტუალიზდება რელიგიური ტოლერანტობის თემაც.

სამოქალაქო ღირებულებათა დამკვიდრების კუთხით, განსაკუთრებით გამოვყოფთ გამოსატვის თავისუფლებას, რაც ორგანულ კავშირშია პიროვნების თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის საკითხთან. მონიშნული პერიოდის პუბლიცისტიკაში აქტიური მსჯელობა მიმდინარეობს ამ თემებზე. ღირებულებითი პრიორიტეტის საკითხს კულტურული ორიენტაციის პრობლემასთან მიეყავართ. კვლავ მწვავედება პოლემიკა თემაზე: „ევროპა ვართ, თუ აზია?“. ცნობილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პუბლიცისტურ ნააზრევში თვალსაჩინოვდება, ერთი მხრივ, ერის, როგორც კულტურული ფენომენის მნიშვნელობისა და სხვა მხრივ, მისი, როგორც პოლიტიკური ერთობის გააზრების ძირეულად განსხვავებულ კონცეფციათა ურთიერთჭიდილი. კულტურული ნაციონალიზმის, ასე

ვთქვით, „ირაციონალურ“ დისკურსს, ერთგარ „მისტიკურობას,“ პოლიტიკური ნაციონალიზმის „რაციონალურობა“ უპირისპირდებოდა.

მოცემული პერიოდის ჟურნალისტურ ტექსტებში რეფლექსირებული და რაციონალიზებულია ის ღირებულებები, რომლებიც დღევანდელ დემოკრატიულ და ლიბერალურ საზოგადოებაშია აღიარებული. მ. ჯავახიშვილის, ტ. ტაბიძის, გრ. რობაქიძის, გ. ქიქოძის, ვ. კოტეტიშვილის, პ. ინგოროყვას, ს. ფირცხალავასა და სხვათა პუბლიკაციების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ იმ პერიოდის თვალსაზრისის „შექმენელთა“ ღირებულებით ორიენტაციაზე (რომელიც ხშირად დომინანტი იდეოლოგიებთან წინააღმდეგობაში მოდიოდა). ეს კი, საბოლოო ჯამში, მთელი საზოგადოების განწყობათა ჩამოყალიბებასა და დემოკრატიული მედიაგარემოს შექმნას უწყობდა ხელს.

კვლევა ხორციელდება მონიშნული დროის ცენტრალურ პერიოდულ გამოცემათა (გაზეთები: „სახალხო საქმე“, „საქართველო“, „ერთობა“, „საქართველოს რესპუბლიკა“) ფურცლებზე მოძიებული მასალის სისტემატიზება - კლასიფიკაციის, ცალკეული მედიატექსტების შინაარსობრივი და სახეობრივი ანალიზის გზით. მოსაზრებების დასაბუთებისთვის მივმართავთ დედუქციას (მისი გაგების საშუალებად მოვიხმობთ ინტუიციასაც, როგორც ხედვის, ჭერეტის მეთოდს). აღნიშნულ თემატიკასთან მიმართებით არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასთან ერთად, საკითხის გენეზისის შესწავლის მიზნით ვემყარებით ცნობილი ავტორების: ჯონ მილტონის, ჯონ სტიუარტ მილის, იურგენ ჰაბერმასის, გეორგ სორენსენის, ასევე, სხვა უცხოელ თუ ქართველ მეცნიერთა თეორიულ ნაზრევს.

ალექსანდრე წურწუშია
ასისტენტ-პროფესორი, თსუ

**ერთიანი ევროპული სივრცე
(ინტეგრაციის სირთულეები)**

პოლიტიკურმა პროცესებმა ხელი შეუწყო, მსოფლიო პოლიტიკის ერთ-ერთი სკოლის, ნეოლიბერალიზმის იმ ხედვის ფორმირებას, რომლის მიხედვით თანამშრობლობით სახელმწიფოები გაცილებით მეტ მოგებას ნახულობენ ვიდრე დაპირისპირებითა და ომებით. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან სულ რაღაც შვიდიოდე წელიწადში, ორმა ევროპულმა სახემწიფომ (გერმანიამ და საფრანგეთმა), რომელთაც 75 წლის გამავლობაში სამჯერ იომეს ერთმანეთის წინააღმდეგ, გადადგეს ნაბიჯი თანამშრომლობისკენ. ევროპულმა თანამეგობრობამ, რომელიც შემდგომში 1993 წელს გარდაიქმნა ევროპის კავშირად, ხელი შეუწყო ევროპულ სივრცეში ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებას. თუმცა, ევროპული თანამეგობრობა არ ეყრდნობოდა მხოლოდ ეკონომიკურ ფაქტორებს, რაც მკაფიოდ გამოჩნდა დე გოლის მართველობის პერიოდში, როდესაც 60-იან წლებში საფრანგეთმა დაბლოკა დიდი ბრიტანეთის გაწევრიანება ორგანიზაციაში, ამ უკანასკნელის მჭიდრო ურთიერთობის გამო აშშ-თან.

ცივი ომის დამთავრების შემდეგ გამოითხვა ვარაუდი, რომ ახალ მსოფლიო წესრიგს აშშ-სა და ევროკავშირის თანამშრომლობით ჩაეყრებოდა საფუძველი. თუმცა, შემდგომ პერიოდში ევროკავშირის ლიდერმა სახელმწიფოებმა (პირველ რიგში საფრანგეთმა და გერმანიამ), მოიწადინეს თავიანთი საკუთარი პოლიტიკის განხორციელება და მჭიდრო თანამშრომლობა რუსეთთან. რასაც აშშ-ს სამთავრობო წრეების მხრიდან მწვავე რეაქცია მოყვა. თუმცა, რუსეთ-საფრანგეთ-გერმანიის სწრაფვა

ევროპაში ახალი უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბებისა, 2011 წელს ვერ განხორციელდა. ამ გეგმის განხორციელებას ასევე უშლის ხელს დაბაბული ვითარება უკრაინის გარშემო.

რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ დაბადა რამოდენიმე აქტუალური კითხვა. ხომ არ მოხდა დაინტერესებულ მხარეებს შორის რაიმე სახის ფარული გარიგება მსგავსი მიუნჰენისა (1938 წ.)? არის კი ევროკავშირი ერთიანი ორგანიზაცია? ხომ არ მიმართავენ, საფრანგეთი-გერმანია რუსეთთან მიმართებაში ძალთა დაბალანსების პოლიტიკას, სუსტი სახელმწიფოების ინტერესების უგულვებლყოფის ხარჯზე?

ჩვენს მიერ გამოთქმულ ეჭვს კიდევ უფრო აღვივებენ საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტები ჟისკარ დ'ესტენის და ნიკოლა სარკოზის მიერ დაფიქსირებული პოზიცია ყირიმის რუსეთისადმი კუთვნილების ისტორიული საფუძვლების შესახებ.

მსგავსმა პოზიციამ, რუსეთისადმი ლოიალურმა დამოკიდებულებამ, შესაძლოა შეარყიოს ევროკავშირის ერთობა, ვინაიდან მის რიგებში არიან წარმოდგენილი ქვეყნები, რომელთაც ისტორიულად ჩამოუყალიბდათ უნდობლობა რუსეთის პოლიტიკის მიმართ.

ევროკავშირი, როგორც ორგანიზაცია უამრავი გამოწვევის წიანშე დგას. უმთავრესი პრობლემა კი, რუსეთთან დამოკიდებულების გართულება, სათავეს 2004 წლიდან იღებს. სწორედ ამ წელს განხორციელდა ევროკავშირის ისტორიაში ყველაზე დიდი გაფართოება. იმავე წელს ევროკავშირმა განაცხადა სამეზობლო პოლიტიკის ამოქმედების შესახებ. ამ ეტაპამდე კრემლი აცხადებდა, რომ მისთვის არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა გაწევრიანდებოდნენ თუ არა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ევროკავშირში, მთავარი იყო არ მომხდარიყო მათი გაწევრიანება ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში. თუმცა, ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკამ და საქართველო, უკრაინა, მოლდოვას შორის ასოცირების

ხელშეკრულების ხელმოწერამ მკვეთრად დაძაბა ურთიერთობა რუსეთთან. ცალსახაა, რომ თითოეული ნაბიჯი გადადგმული დემოკრატიისა და ევროინტეგრაციისაკენ, კიდევ უფრო აშორებს პოსტ-საბჭოთა რესპუბლიკებს კრემლისგან და ზრდის მათი სუვერენიტეტის ხარისხს.

ევროკავშის ერთიანობა და შედეგიანი ფუნქციონირება დამოკიდებულია, რამდენად ადეკვატურად მოახდენს ის საგარეო პოლიტიკურ გამოწვევებზე რეაგირებას. ასევე უმნიშვნელოვანეს საკითხად რჩება წევრ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის უზრუნველყოფა. თუკი, რომელიმე წევრი სახელმწიფო ეცდება თავისი გავლენის და პოზიციის თავს მოხვევას სხვა წევრ სახელმწიფოზე, ასეთი ქმედება ხელს შეუშლის ევროპული საზოგადოების ერთობას და დააჩქარებს ევროკავშირის დეზინტეგრაციას. გამოსავალი და ორგანიზაციის განვითარების ფორმულა მარტივია – ძალა ერთობაშია. მხოლოდ ერთიანი ძალებით შეძლებს ევროკავშირი არსებული და მომავალში წამოჭრილი პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა სახის პრობლემებთან გამკლავებას და მათ გადაჭრას.